განათლების, მეცნიერების და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ენა 7

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი



ავთანდილ არაბული, დალი ბენაშვილი

ქართული ენა 7

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ენა
VII კლასი, I ნაწილი
მოსწავლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორი:
ავთანდილ არაბული
თანაავტორი:
დალი ბენაშვილი

სამეცნიერო რეცენზენტი: გიორგი ალიბეგაშვილი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: თეონა ლოდია
რედაქტორი: ნანა ქირია
ილუსტრატორი: ია გიგოლაშვილი
დამკაბადონებელი: ოთარ კიკილაშვილი
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

სახელმძღვანელო განკუთვნილია მეშვიდე კლასის მოსწავლეებისათვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სახელმძღვანელოში გამოყენებულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული არქივის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის მიერ მოწოდებული და ციფრული ლიცენზირებული პლატფორმებიდან შეძენილი/მოპოვებული ფოტო-ილუსტრაციები. ასევე, ცალკეული ფოტო-ილუსტრაციები შექმნილია/დამუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8907-3

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი



ძალა ერთობაშია

თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია დმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეკელიძემ

სარჩევი

თავი 1. სიტყვათა გრამატიკული კლასები 7
1. ენის სახლი და სიტყვის ცხოვრება 9
2. სიტყვათა გრამატიკული კლასები, ანუ მეტყველების ნაწილები 13

თავი 2. არსებითი სახელი 19
1. არსებითი სახელი. ჯგუფები შინაარსის მიხედვით 21
2. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა რაოდენობა და რიგი 28
3. სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები 34
4. ფუძეთანხმოვნიანი სახელები. ფუძის კუმშვა 38
5. ფუძეხმოვნიანი სახელები. ფუძის კვეცა. კუმშვა-კვეცა 43
6. ბრუნების ტიპები 48
7. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა 54
8. საკუთარ სახელთა ბრუნება 59
9. არსებითი სახელის რიცხვის წარმოება 66
10. თანდებულიანი ბრუნვები 71

ქართბოტი

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები



გავიხსენოთ:



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:



დავალება:



დაიმახსოვრეთ!



ეს საინტერესოა:



გავაანალიზოთ:



ეს გასათვალისწინებელია:



შევაჯამოთ ზემოთ თქმული:



დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ: /
უპასუხეთ (ვუპასუხოთ) კითხვებს:



შემოქმედებითი ბუნების
კომპლექსური დავალება



თავი 1
სიტყვათა გრამატიკული კლასები

ამ თავში გაეცნობით:

- რა ადგილი უჭირავს ენას იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც ის ეკუთვნის;
- რას ნიშნავს მშობლიური ენის სიყვარული და ნამდვილი გულშემატკივრობა საკუთარი ისტორიული საგანძურისა; ამავე დროს, პატივისცემა სხვათა ასეთივე გრძნობების მიმართ;
- როგორ, რა ნიშნების მიხედვით იყოფა ენის სიტყვათა მთელი სიმდიდრე ათიოდე განსხვავებულ ჯგუფად, ანუ გრამატიკულ კლასებად;
- რა ძირითად მინიშნებებს გვთავაზობს სიტყვათა გრამატიკულ კლასებად დაყოფა.

„დედაენა - ცოდნის ზარი“,
მოქანდაკე - ელგუჯა ამაშუკელი,
არქიტექტორი - ნოდარ მგალობლიშვილი, თბილისი.

ეს საუბრები ხალხის ტკივილის, ზეიმების,
ვაჭრობის, ეს სულ ხალხისაა!

1. ენის სახლი და სიტყვის ცხოვრება

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიაზრებთ, რა როლს ასრულებს ენა ხალხის (ერის) ცხოვრებაში;**
- **გავიგებთ, ენისადმი როგორ დამოკიდებულებას გულისხმობს ნამდვილი პატრიოტიზმი;**
- **ვისწავლით იმაზე დაკვირვებას, თუ როგორ იცვლებიან სიტყვები დროთა განმავლობაში.**



ეს საინტერესოა:

წაიკითხეთ მცირე შესავალი და შემდეგ დიდი მეცნიერის მიმართვა მოსწავლეებისადმი:

საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღია 1978 წლის 14 აპრილი. მაშინ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი არ იყო და საბჭოთა იმპერიამ მოინდომა საქართველოს კონსტიტუციიდან ქართული სახელმწიფო ენის მუხლის ამოღება. ახალგაზრდობა და, მათ შორის, თქვენი თანატოლებიც აქტიურად გამოვიდნენ ქართული სახელმწიფო ენის დასაცავად და მიზანსაც მიაღწიეს. ისე დაემთხვა, რომ სწორედ იმ ხანებში შეუსრულდა 80 წელი ქართული ენის დიდ მოამაგეს, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეულის მთავარ რედაქტორს, არნოლდ ჩიქობავას. საიუბილეოდ მას სთხოვეს, რომ მიემართა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და მისი ეს მიმართვა 20 აპრილს გამოქვეყნდა პრესაში.

აი, რა უანდერძა მან მომავალ თაობებს:

სახელიანი ივლიდეთ

ოთხმოცი წელი... „გზა ყივის წამავალისა!“

გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე - მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს.

ენის საშუალებით გადაეცემა შემდგომ თაობას, რაც წინა თაობას ცოდნა-გამოცდილება დაუგროვებია. ეს რომ არა, კულტურის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.

ბუნებრივია, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედაენა.

ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ: „სხვისი ენა“ აკი ვიღაცისთვის დედაენაა.

რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს, მისთვის ყველა ენა ერთია: ის კოსმოპოლიტია და არა - ინტერნაციონალისტი.



არნოლდ ჩიქობავა (1898-1985) — დიდი ქართველი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ავტორი 300-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, მთავარი რედაქტორი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულისა.

ქართულ ენაზე მდიდარი მწერლობა მოგვეპოვება. ეს მწერლობა ჩვენი კულტურის დიდი ძალაა, თუკი მკითხველი და, პირველ რიგში, ახალგაზრდობა მას სათანადოდ მოეკიდება.

ქვეყანას სჭირდება განათლებული ახალგაზრდობა. ზერელე ცოდნა, უვიცობა პატრიოტული ვერ იქნება...

დიდი მოვალეობა აწევს, კერძოდ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს: განავითაროონ ის დარგები, სადაც აქამდე ძლიერი სკოლა და სამეცნიერო ტრადიციები არ შექმნილა; ხოლო იქ, სადაც გარკვეული ტრადიციები მოგვეპოვება, წავიდეთ წინ ახალი მიღწევებისაკენ: კარგს უკეთესი უნდა შეემატოს.

ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენში საძებარი არ არის. ნიჭს დამჯდარი შრომის უნარი უნდა ზურგს უმაგრებდეს. ეს კი ხშირად გვაკლია.

შრომა ყველა დარგს, ყოველ საქმეს ესაჭიროება. მშრომელი ახალგაზრდობა ქვეყნის ბურჯია, ხალხის ნათელი მომავლის საფუძველია.

გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდობას შრომაში, სწავლაში, კაიკაცობაში!

სახელიანი ივლიდეთ ცხოვრების გზაზე!

არნოლდ ჩიქობავა

გავაანალიზოთ:

ამ ტექსტში უბრალო დათვლით 207 სიტყვა შედის. მაგრამ თქვენ უკვე იცით, რომ ერთმა და იმავე სიტყვამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს. წინადადებაში რაიმე ფორმით გამოყენებულ სიტყვას სხვაგვარად „სიტყვაფორმას“ უწოდებენ. მაგალითად, დავაკვირდეთ, რამდენგვარი ფორმით გვხვდება ამ ტექსტში სიტყვა „თაობა“. კიდევ რომელი სიტყვაა ამ ტექსტში ისეთი, რომელსაც სხვადასხვა ფორმა აქვს?

დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

- ✓ აღნიშნულის გათვალისწინებით, სიტყვა მეტი უნდა იყოს ტექსტში თუ სიტყვაფორმა?
- ✓ შეიძლება თუ არა ტექსტში იმდენივე სიტყვა იყოს, რამდენიც სიტყვაფორმა?
- ✓ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება სიტყვა, რომელიც სხვადასხვა ფორმით დასტურდება – ფორმაცვალებადს თუ ფორმაუცვლელს?
- ✓ თუ სიტყვა ტექსტში მხოლოდ ერთი ფორმით დასტურდება, ნიშნავს თუ არა ეს ავტომატურად იმას, რომ სიტყვა ფორმაუცვლელია?

გავიაზროთ ტექსტის დეტალები:

1. მეცნიერმა მიმართვის ტექსტი ასე დაიწყო: „ოთხმოცი წელი... „გზა ყივის წამავალისა!“ ბრჭყალებში მან ხალხური ანდაზა ჩასვა, რაც ხატოვნად გამოხატავს ამ აზრს: „წამსვლელს გზა უხმობს, ანუ წამსვლელი უნდა წავიდეს“. თუ ტექსტს წამძღვარებულ განმარტებას გავითვალისწინებთ, რას გვეუბნება ავტორი პირველივე ფრაზით და რით უკავშირდება ის მომდევნო აბზაცის დასაწყისს: **„გარდაუვალი წესია: ერთი თაობა...“**?

2. მეცნიერმა ტექსტი დალოცვით დაასრულა: **„სახელიანი ივლიდეთ!..“** გამოგიყენებიათ თუ არა დღემდე ამგვარი ფორმა – **„ივლიდეთ“**? თქვენ როგორ იტყოდით ამ ფრაზას?


„ივლიდეთ“ ამ ზმნის ძველი ფორმაა. გავიხსენოთ: ახალ ტექსტში გამოყენებულ ძველ სიტყვაფორმას არქაიზმს უწოდებენ. ე.ი. ტექსტში შეიძლება თანაარსებობდნენ ახალი და ძველი ფორმები, ანუ არქაიზმები. როგორ ფორმას მიიღებს ის თანამედროვე ქართულით?


3. ავტორმა ასევე რატომღაც ფორმა **„სახელიანი“** გამოიყენა და არა – **„სახელოვანი“**. მეორე ფორმა, ჩვეულებისამებრ, გამოიყენება გმირებისა თუ სხვა გამოჩენილი ადამიანების დასახასიათებლად. თუ გავითვალისწინებთ მეცნიერის მიმართვის ადრესატებს, შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რატომ ამჯობინა მან ამ შემთხვევაში პირველი ფორმის გამოყენება.


4. ვაჟა-ფშაველას აქვს წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ამ მიმართვის ავტორი კი „კოსმოპოლიტობასა“ და „ინტერნაციონალისტობას“ უპირისპირებს ერთმანეთს. თუ ამ სიტყვებს შესაფერისად განვმარტავთ, შეგვეძლება დამოუკიდებლად ვიმსჯელოთ, რატომ არის მისთვის მიუღებელი კოსმოპოლიტობა.

კოსმოპოლიტი უარყოფს ყველაფერს ეროვნულს, თავს რომელიმე ეროვნებას კი არ მიაკუთვნებს, არამედ „მსოფლიო მოქალაქედ“ მიიჩნევს. **ინტერნაციონალისტი** კი ყველა ერის თანასწორუფლებიანობასა და მათ შორის თავისუფალ ურთიერთობას აღიარებს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია (ზეპირად ან წერილობით).







სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერი, XVIII ს. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



შევაჯამოთ ზემოთ თქმული:

ყოველ ტექსტს აქვს რაღაც ძირითადი აზრი, ანუ მთავარი სათქმელი. ზოგჯერ ეს აზრი ხელშესახებად არის გამოკვეთილი, ზოგჯერ კი შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი აზრი ეცილებოდეს ერთმანეთს „პირველობას“. ასეთ დროს მკითხველს გულისხმიერი ანალიზი სჭირდება, რათა უმთავრესი გამოკვეთოს. შემოთავაზებული ტექსტი უფრო მეორე ტიპისაა, რადგანაც არაერთ გონივრულ დასკვნას სთავაზობს ახალგაზრდობას. ამიტომაც ტექსტის შემდგომი ანალიზისთვის დავსვათ კითხვები და ვიმსჯელოთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი:

ა) ის, რომ თაობა მიდის და თაობა მოდის?
ბ) რომ ენა უკვდავია, თუკი მას ხალხი ზურგს არ შეაქცევს?
გ) რომ მშობლიური ენა ყველას უყვარს (სხვას კი პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს)?
დ) ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს?
ე) ნიჭიერებას ბეჯითი შრომა უნდა უმაგრებდეს ზურგს?
ვ) მშრომელი ახალგაზრდობა ქვეყნის ბურჯია?
ზ) იქნებ სხვა რამ?

ეს გასათვალისწინებელია:

კითხვებზე პასუხის შერჩევისას თითოეული თქვენგანი თავისუფალია, მაგრამ შერჩევის შემდგომ გეკისრებათ მოვალეობა, დაასაბუთოთ, რას ეფუძნებოდა თქვენი არჩევანი.

2. სიტყვათა გრამატიკული კლასები, ანუ მეტყველების ნაწილები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიხსენებთ სიტყვათა გრამატიკულ კლასებს, ანუ მეტყველების ნაწილებს;
- დავაკვირდებით: რა თავისებურებების მიხედვით გადანაწილდა სიტყვათა მარაგი 10 სხვადასხვა ჯგუფში (კლასში)?
- ვიმსჯელებთ: რაში დაგვეხმარება სიტყვათა გრამატიკულ კლასებად დაყოფა?


გავიხსენოთ:

- ✓ არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა... სიტყვათა განსხვავებული კლასებია. თუ გახსოვთ, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?
- ✓ რა როლს ასრულებს თითოეული მათგანი მეტყველებაში?

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

წავიკითხოთ პარაგრაფის ტექსტი და გავიაზროთ, სიტყვის შინაარსის (ლექსიკური მნიშვნელობის) გარდა, კიდევ რა განაპირობებს ენაში არსებული სიტყვების დაყოფას გრამატიკულ კლასებად.

I. მეტყველების დროს სიტყვათა ნაწილი ფორმის უცვლელად გამოიყენება, ნაწილს კი ფორმის ცვალებადობა ახასიათებს. ამიტომაც ენაში არსებულ სიტყვათა მთელი საგანძური გრამატიკული თვალსაზრისით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: **ფორმაცვალებადი** და **ფორმაუცვლელი** სიტყვები.



ქვემოთ დამოწმებულ მონაკვეთში დააკვირდით მუქი შრიფტით გამოყოფილ სიტყვებს და გადაწყვიტეთ: რომელი მათგანი ჩანს ფორმაცვალებადი და რომელი – არა?




შორს ლურჯი **ცა** მოჩანს, **უფრო შორს**, ლურჯი **ცის იქით**, ჰორიზონტი თითქოს მუქდება. სოფლის გადაღმა ერთი წაწვეტებული **გორა** დგას, **გორის აქეთ** – სწორად აზრდილი ალვები, **კიდევ უფრო** აქეთ – შემწვანებული **მინდორი** გაშლილა, **მინდორს** ბოლოზე **მდინარე** ჩამოუდის, **მდინარის იქით** კი სხვათა საძოვრებია. ამ **მდინარეს** დიდი სიკეთე მოაქვს – საზღვარს გვიმაგრებს და **მინდორს** ცვარ-ნამს არ აკლებს.

უპასუხეთ კითხვებს:

- ✓ დააკვირდით: შეიძლებოდა თუ არა, სიტყვა „მდინარე“, რომელიც ამ ნაწყვეტში სამჯერ გვხვდება, ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე ფორმით გამოგვეყენებინა?
- ✓ გაიაზრეთ, რას ემსახურება სიტყვის ფორმის ეს ცვლილება?
- ✓ გაიხსენეთ, რა ჰქვია სიტყვის ამგვარ ფორმაცვალებას?

II. როგორც ხედავთ, ფორმაცვალება ენას სჭირდება სიტყვათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ფორმაცვალება, თავის მხრივ, ორი ძირითადი სახისაა: **ბრუნება** და **უღლება**. ამდენად, ფორმაცვალებადი სიტყვების კლასში გამოიყოფა **ბრუნებადი** და **უღლებადი** სიტყვები.




დაიმახსოვრეთ!

არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი **ბ რ უ ნ ე ბ ა დ ი** სიტყვებია, ანუ ბრუნვათა მიხედვით იცვლება (თოვლი, თოვლმა, თოვლს...);

ზმნები **უ ღ ლ ე ბ ა დ ი** სიტყვებია, ანუ იცვლება პირისა და რიცხვის, დროისა და კილოს მიხედვით (ვწერ, წერ, წერს, ვწერთ, წერთ, წერენ...).

III. ამგვარად, სიტყვები კლასებად, ერთი მხრივ, მათი **შინაარსის** (ლექსიკური მნიშვნელობის), მეორე მხრივ კი, **ფორმის**, ანუ **ფორმაცვალებადობის** მიხედვით იყოფა. კლასებად დაყოფის მესამე ნიშანი კი მათი **ფუნქციაა**, ანუ ის, თუ რა ფუნქციას ასრულებს სიტყვა მეტყველებაში: **სრულმნიშვნელოვანია** ის, თუ – **დამხმარე**.



გავიხსენოთ:

ს რ უ ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა სიტყვა, რომელსაც კითხვა დაესმის: **შველი** (რა?), **თოვლი** (რა?), **შემკრთალი** (როგორი), **ბოლოს** (როდის?) და სხვ.


დ ა მ ხ მ ა რ ე ა სიტყვა, რომელსაც კითხვა არ დაესმის: **რომ**, **ისევ**, **და**...

IV. აღნიშნული სამი ნიშნის (შინაარსის, ფორმაცვალებადობისა და ფუნქციის) მიხედვით სიტყვათა კლასებად დაყოფა, ანუ კლასიფიკაცია, გვაძლევს 10 ჯგუფს; მათ **სიტყვათა კლასები**, ანუ **მეტყველების ნაწილები** ჰქვია; ესენია:

#	სიტყვათა კლასები	ამოსაცნობი კითხვები	მაგალითები
1	არსებითი სახელი	ვინ? რა?	ბავშვი, თოვლი, ოცნება...
2	ზედსართავი სახელი	როგორი? რანაირი? რომელი?	ლამაზი, უმწეო, გულღია, თავდახურული...
3	რიცხვითი სახელი	რამდენი? მერამდენე?	ორი, ასი, მეხუთე, სამოცდამეერთე...
4	ნაცვალსახელი	[ვინ? რა? რომელი? ვისი? რისა?]	მე, შენ, იგი, ჩვენ, ჩემი...
5	ზმნა	რას შვრება? რა მდგომარეობაშია? რა ქნა?	მიდის, აგდია, გადახტა...
6	ზმნიზედა	სად? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?	გარეთ, ხვალ, ძლიერ, ზევით, მერე...
7	თანდებული		მიერ, შემდეგ, შესახებ...
8	კავშირი		და, მაგრამ, ხოლო, რომ...
9	ნაწილაკი		არ, ვერ, განა, -მეთქი...
10	შორისდებული		ვაჰ! ოჰ! ვაი! ვაშა!..


გთავაზობთ სიტყვათა კლასებად დაყოფის ერთიან სქემას, რომელიც ზემოთ ნათქვამის თვალნათლივ წარმოდგენასა და გააზრებაში დაგეხმარებათ.

- ✓ **დააკვირდით სქემას** და შეაჯამეთ: რა ძირითადი ნიშნები დასდებია საფუძვლად ენაში არსებული სიტყვების გრამატიკულ კლასებად დაყოფას?
- ✓ კიდევ ერთხელ გაიაზრეთ: რისთვის არის საჭირო სიტყვების კლასებად დაყოფა?



დავალება 1:

დააკვირდით მუქი შრიფტით დაბეჭდილ სიტყვებს და ცალკე ამოიწერეთ ფორმაცვალებადი სიტყვები (ანუ მოძებნეთ ერთი და იგივე სიტყვა, რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოიყენება); ასევე იპოვეთ და ამოიწერეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ყოველთვის ფორმაუცვლელად გამოიყენება:



შველი იდგა **და** კანკალებდა. ბოლოს მაინც დაწვა, **ისევ** თვალები დახუჭა, დაიძინა. **რომ** გარიჟრაჟდა, შემკრთალი წამოდგა, **თოვლი** გალავანივით შემოვლებოდა ირგვლივ. **ისევ** ჩამოდიოდნენ ფიფქები. **შველმა** ისკუპა, **თოვლის** გალავანს გადაევლო, **მაგრამ** მუცლამდე ჩაიფლო. ხტებოდა, **თოვლს** აბუქებდა. **თოვლში** იწვა. მაღლიდანაც **თოვლს** ადებდა. მობრუნდა, თოვლის ბუქებით **ისევ მუხასთან** მივიდა. **მუხის** ძირში სიმშრალეც იყო, სითბოც, ხმელი ბალახებიც. **მერე** ხავსიც შეახოხნა **მუხას**, იდგა, ტოკავდა, ასწევდა **და** დაადგამდა **ხან** ერთ ფეხს, **ხან** მეორეს. მიბრუნდებოდა, ელოდებოდა **მზეს**. მოვიდოდა **მზე**, **თოვლს** დაადნობდა. **მაგრამ ისე** დაღამდა ის დღე, არც **მზე** გამოჩენილა, არც თოვა შეწყვეტილა. **თოვლის** გალავანმა იმდენად აიწია, აყელყელავება უხდებოდა, **რომ** დაბლა გადაეხედა. **შველმა** იცოდა, რა ხმებიც იყო ეს. მაინც კრთოდა... მალე **მზე** მოვიდოდა. მართლაც, მთლად **რომ** გათენდა, ჯერ **მზის** სხივები მოვიდნენ ხეების კენწეროებზე, **მერე** თვითონ გულით მცინარი **მზეც** მობრძანდა. დაიწყო **თოვლმა** დნობა.

შველი გაფაციცებული უსმენდა ხეებიდან **თოვლის** ნაფლეთების ცვენას. ნაშუადღევისთვის **მზემ** ისე იმძლავრა, სადაც **შველი** იდგა, იქ წყალმა გამოჟონა. **თოვლის** გალავანი აშკარად დადაბლდა. დაიწყო გათენებაც. სადაცაა, **მზის** სხივებიც მოვიდოდნენ ხე-

ების კენწეროებზე. ველარ მოითმინა, ისკუპა, გადახტა **თოვლში მზის** მოსასვლელისკენ. პირშეყინული **თოვლი** ფხლაწუნით ჩაუტყდა, მუცლამდე ჩაიჭედა. ერთხელაც გადახტა, **ისევ** მუცლამდე ჩაჯდა, იქაც იბრძოლა, იქიდანაც გადახტა, **ისევ** ყინულებში ჩაიჭედა... ბოლოს, როგორც იქნა, **მზეც** მოვიდა... მთლად **მზეს** მიენდო. მაგრამ მალე **მზეს** ბურუსი გადაეფარა, ხაოდა, მზეს ეძახდა. ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. **მზე** მაინც არ ჩნდებოდა. **შველს** ცისკენ ჰქონდა აწეული თავი, **ისევ** ხაოდა, **ისევ მზეს** ეძახდა. **მერე** აღარც ხმა ჰქონდა, – პირდაღებული უხმოდღა შესტიროდა **მზეს**... - მიხედე, **მზევ**, **თოვლში** ჩაყინულ **შვლებს**! – შორეულ გრგვინვასავით გაისმა ღრუბლებში.

რევაზ ინანიშვილი, „შველი ზამთარში“

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება:

თხზულების დაწერა შერჩეული დებულების მიხედვით.

დავალების პირობა

დაწერეთ თხზულება მიძღვნილი ქართული ენის დღისადმი, რომელშიც ილაპარაკებთ სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე, მისი დაცვის ამოცანებზე იმ ამოსავალი დებულების გათვალისწინებით, რომელიც, თქვენი აზრით, საინტერესო და აქტუალური იქნება თქვენი თანატოლებისათვის.

თქვენი სტატიის მოსამზადებლად გამოიყენეთ არნოლდ ჩიქობავას მიმართვის – „სახელიანი ივლიდეთ“ – შესწავლით მიღებული ცოდნა-გამოცდილება.

ნამუშევარში:

- ✓ გამოკვეთეთ შერჩეული საკითხის არსი, წარმოაჩინეთ მისი მიზეზები და შედეგები, ასევე თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ✓ ფუნქციურად გამოიყენეთ სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვათა კლასები (მეტყველების ნაწილები);
- ✓ საკუთარი თვალსაზრისის წარმოსაჩენად გამოიყენეთ გრამატიკულად მრავალფეროვანი სიტყვები და სიტყვაფორმები;
- ✓ შეარჩიეთ ლექსიკა და სტილი, რომლებიც საინტერესო და შთამბეჭდავი იქნება თქვენი თანატოლებისთვის;
- ✓ დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

თავი 2
არსებითი სახელი

ამ თავში გაეცნობით:

- არსებითი სახელის რაობას და მის შინაარსობრივ ჯგუფებს;
- არსებითი სახელის ბრუნების სისტემას, ბრუნვათა რაოდენობისა და რიგის განმაპირობებელ ფაქტორებს;
- სახელის ფორმაწარმოებას; სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნების ურთიერთმიმართების ბუნებას;
- ფუძეთანხმოვნიან და ფუძეხმოვნიან სახელთა ბრუნების ტიპობრივ განსხვავებათა მიზეზებს;
- თანდებულიან ბრუნვათა წარმოების თავისებურებებს;
- მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ორგვარ შესაძლებლობას და განსხვავებას მათ შორის.



„ანბანის კოშკი“ ბათუმში,
ავტორი - ესპანელი არქიტექტორი ალბერტო დომინგო კაბო

...ოთხი ქართველი ოთაყვანება

ოთაყვანება, ჟურნალისტი... ოთხი ქართველი...

ოთაყვანება, ვინც ამქვეყნად არ დარჩენილა,

...ვინც დავიჭერით ყოველ ალაგ და ვიცით ციხე,

ოთაყვანება, ვინც ამ ბრძოლაში არ ჩაბმულა, ვინც

ოთაყვანება, ვინც ამქვეყნად არ ყოფილა!..

ვაჟა ფშაველა

1. არსებითი სახელი. ჯგუფები შინაარსის მიხედვით

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ: რამდენ ჯგუფად იყოფა არსებითი სახელები შინაარსის მიხედვით;**
- **გავიაზრებთ: რას ნიშნავს ცნებათა რუკა და რაში გამოვიყენებთ მას;**
- **ვისწავლით ცნებათა რუკის შედგენასა და გამოყენებას.**

გავიხსენოთ:

- ✓ სიტყვათა გრამატიკული კლასების ჩამონათვალში არსებით სახელს პირველი ადგილი უჭირავს. დაფიქრდით: ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არსებით სახელს ჩვენს მეტყველებაში უმთავრესი როლი აკისრია?
- ✓ რას ვერ გამოვხატავდით, ჩვენს მეტყველებაში არსებითი სახელები რომ არ იყოს? (მაგალითად, რა აკლია აზრის დასასრულებლად შემდეგ წინადადებას: „[?....] ეზოში [?....] რგავს“?).

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

დავაკვირდეთ პარაგრაფის ტექსტს და გავიაზროთ, თუ როგორ შეიძლება სიტყვიერი ინფორმაციის გადმოცემა თვალსაჩინო სქემით.


არსებითი სახელის კლასში შედის ის სიტყვები, რომლებიც ადამიანს დაურქმევია სამყაროში არსებული საგნებისა და მოვლენებისათვის. არსებით სახელს ამოვიცნობთ ერთ-ერთი ამ კითხვის მეშვეობით: **ვინ**? **რა**?



არსებითი სახელის მრავალრიცხოვანი კლასი შინაარსობრივად ერთგვაროვანი არ არის; ის რამდენიმე განსხვავებულ ქვეჯგუფად იყოფა:


1. **„ვინ“** ჯგუფი და **„რა“** ჯგუფი: „ვინ“ ჯგუფში მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელი სახელები შედის (კაცი, ქალი, ბავშვი, დედა, მამა, შვილი, მწერალი, მასწავლებელი...), „რა“ ჯგუფში – ყველა დანარჩენი (მიწა, ცა, ხე, ქვა, ხარი, ქორი, თევზი, ბუზი...);

ეს აზრი შეიძლება სქემის სახით ასე გამოვსახოთ:



2. **სულიერი** და **უსულო**: სულიერთა ჯგუფში შემოდის „ვინ“ ჯგუფის სახელები და, გარდა ამისა, „რა“ ჯგუფის ყველა ის არსება, რომელსაც „სული უდგას“ (ლომი, ორბი, ხვლიკი, ჭია...); „რა“ ჯგუფის დანარჩენი წევრები უსულოა.


ეს აზრი შეიძლება სქემის სახით ასე გამოვსახოთ:



3. **კონკრეტული** და **აბსტრაქტული**: კონკრეტული სახელი გულისხმობს საგნებსა და მოვლენებს, რომელთა ფიზიკური აღქმა (შეხება, დანახვა, მოსმენა...) შეიძლება


(ქვა, წვიმა, წყალი, ბგერა, სუნი...), ხოლო აბსტრაქტულია ისეთ მოვლენათა გამომხატველი სახელები, რომელთაც ფიზიკურად ვერ აღვიქვამთ (ფიქრი, განცდა, შიში, მეგობრობა...).

ეს აზრი შეიძლება სქემის სახით ასე გამოვსახოთ:



4. საზოგადო და **საკუთარი**: სახელთა უმეტესობა საზოგადოა, ანუ ასეთი სახელი მრავალ ერთგვაროვან საგანს ერთნაირად აღნიშნავს; მაგალითად, საწერი ინსტრუმენტი ნაირგვარია, მაგრამ ყველას **კალამი** ჰქვია (საზოგადო სახელებია: **ხე**, **სოკო**, **სახლი**, **სკამი** და მრავალი სხვ.); საკუთარი სახელები კი აღსანიშნ ობიექტად ერთ საგანს (ან რაიმე ცალკე ჯგუფს) გულისხმობს (მაგ.: **გიორგი**, **ბერიძე**, **ვარიანი**, **მარსი**...); საკუთარია ადამიანთა პიროვნული სახელები, გვარები, ადგილთა სახელები, პლანეტების სახელწოდებები; საკუთარია ასევე რაიმესთვის შერქმეული სახელები (**„ცისკარი“**, **„დილა“**, **„ვეფხისტყაოსანი“**, **„ხვანჭკარა“**, **„დელტა“**...).

ეს აზრი შეიძლება სქემის სახით ასე გამოვსახოთ:





დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

აქამდე ქვეჯგუფები ურთიერთსაპირისპირო წყვილის სახით გამოიყოფოდა (მაგ. ს უ ლ ი ე რ ი – უ ს უ ლ ო...). გვაქვს მხოლოდ ერთი თვისებით გამოყოფილი ჯგუფებიც. ასეთი 3 ჯგუფი (V,VI და VII) ერთ სქემაში გავაერთიანოთ:




5. ნივთიერებათა სახელები: ამ ჯგუფში ერთიანდება ისეთ ნივთიერებათა სახელები, რომლებსაც უპირატესად თ ხ ი ე რ ი, ა ი რ ო ვ ა ნ ი ან ფ ხ ვ ი ე რ ი (არა თვლადი) შემადგენლობა აქვს (**ქვიშა, ფქვილი, ნავთი**...);

6. კრებითი სახელები: ესენია სახელები, რომლებიც სიმრავლის შინაარსს მხოლობითის ფორმით გამოხატავენ (**ფარა, ნახირი, ხალხი, გუნდი**...);



7. მოქმედების სახელები: ზმნებისაგან ნაწარმოები სახელები, ანუ საწყისები, რომლებიც შინაარსით ზმნებია (მოქმედებას გამოხატავენ), მაგრამ ფორმაცვალების მიხედვით არა უღლება, არამედ ბ რ უ ნ ე ბ ა ახასიათებთ (**შენება, სწავლა, სირბილი**...).



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:


რა არსებითი განსხვავებაა, ერთი მხრივ, **1**, **2**, **3**, **4** პუნქტების შინაარსის ამსახველ სქემებსა და, მეორე მხრივ, **5**, **6**, **7** პუნქტების შინაარსის ამსახველ სქემებს შორის?

(რატომ არის პირველი ოთხი პუნქტის შინაარსის გამომხატველი სქემები ერთგვაროვანი, ხოლო ბოლო სამი პუნქტისა – მათგან განსხვავებული? როგორ ფიქრობთ, რატომ არის მოსახერხებელი **5**, **6**, **7** პუნქტების შინაარსის ერთ სქემაში გაერთიანება, ხოლო **1**, **2**, **3**, **4** პუნქტების ცალ-ცალკე სქემებად წარმოდგენა?).

ახლა ვცადოთ ამ პარაგრაფში გამოყენებული ყველა ცნება (**არსებითი სახელი, „ვინ“ და „რა“ ჯგუფი, სულიერი, უსულო, კონკრეტული, აბსტრაქტული, საზოგადო, საკუთარი, ნივთიერებათა, კრებითი, მოქმედების სახელები**) ერთი თვალსაჩინო სქემის სახით წარმოვადგინოთ, რათა ადვილად შევძლოთ ამ ცნებათა შორის ურთიერთკავშირის დანახვა და მათი დამახსოვრება.

ამგვარ სქემას ც ნ ე ბ ა თ ა რ უ კ ა ეწოდება, ანუ ის „ცნებათა სივრცეში“ გზის გაგნებასა და მთლიანი სურათის წარმოდგენაში გვეხმარება.

ცნებათა რუკა არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით



დავალება 1:

იპოვეთ მოცემულ წინადადებებში „ვინ“ ჯგუფის, „რა“ ჯგუფის, სულიერთა და უსულოთა სახელები და ცალ-ცალკე (ოთხ სვეტად) ჩამოწერეთ რვეულში. დააკვირდით, რამდენ ჯგუფში მოხვდა თითოეული სახელი და გამოიტანეთ დასკვნა, რა აქვთ საერთო საპირისპირო შინაარსის ჯგუფებში („ვინ“ – „რა“; სულიერი – უსულო) მოხვედრილ სახელებს.

1. მეფეს დაუკრავს ისარი ხოხბისთვის, წამოსულა დაჭრილი ხოხობი და ჩავარდნილა წყალში. 2. რაკი ლაპარაკი პაპებზე ჩამოვარდა, ერთი პაპის ამბავს გიამბობთ. 3. პირველად თეთრ დათვებთან მივიდნენ, ერთი დათვი იწვა, მეორე - გადი-გამოდიოდა. 4. ისევ იპენტებიან ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ყვავილები. 5. გოგონა ზაფხულის მზით აციაგებულ ფიჭვნარში სეირნობდა. 6. უკიდეგანო ველზე მიაქანებდა ბედაური ცხენი ტკივილისაგან გაოგნებულ მეომარს. 7. გაზაფხულის მზით გამთბარ მიწას ალმური ასდიოდა. 8. გათენებისას ტყეში ხმაური ატყდა. 9. მოისმა ძაღლების ყეფა და თოფის სროლა. 10. ბუებმა ერთხანს კი ითმინეს, მაგრამ მერე ველარ გაუძლეს შიშს, აფრინდნენ და მუხის ფუღუროს შეაფარეს თავი.

დავალება 2:

იპოვეთ მოცემულ წინადადებებში საზოგადო და საკუთარი სახელები და ცალ-ცალკე (ორ სვეტად) ჩამოწერეთ რვეულში. მიუწერეთ თითოეულ მათგანს, კიდევ რომელ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ის, ანუ – რამდენ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ერთდროულად ერთი არსებითი სახელი:

ნ ი მ უ შ ი:
საზოგადო სახელები:
მეფე: „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრეტული.

1. პატარძეული ყოველთვის განთქმული იყო ნიჭიერი მთქმელებითა და მოჭიდავე ფალავნებით. 2. დარიალიდან გადავარდნილი ხაზარეთისკენ მისცურავს წერო. 3. დახანძრებული წევს ივერია, მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს. 4. ისე დავბერდი, ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი. 5. უსაქმო ელეფთერს უღარიბესი გლეხი ელიოზიღა შერჩა ხელთ. 6. მონადირეს, მეთევზეს, მეწისქვილეს... ხანდახან უნდა აპატიო ოცნების გადადუღება. 7. ბებია ანამ მშვიდობიანად განვლო წუთისოფლის უდაბნო. 8. ბებოს ახლა ეზოში ჩაჰყავს, ონკანთან, პირი უნდა დაჰბანოს. 9. ერთი პაპის ამბავს გიამბობთ - ამ პაპას უშიშა ერქვა. 10. ვახტანგ გორგასლანს დაუკრავს ისარი ხოხბისთვის.

დავალება 3:

იპოვეთ მოცემულ წინადადებებში კრებითი, ნივთიერებათა და მოქმედების სახელები და ცალ-ცალკე (სამ სვეტად) ჩამოწერეთ ისინი რვეულში. მიუწერეთ თითოეულ სახელს, აღნიშნული ჯგუფის გარდა, კიდევ რომელ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ის და გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნა:

1. ცხვარი მიმიდის, თორემ საზღვრამდე მიგაცილებდი. 2. ბოლოს ფარას ავი ქოფაკები მოსდევდნენ. 3. ხეებიც სვამენ ღვინოს ფოთლებით და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან. 4. ანკარა, ჩუხჩუხა წყალი მიდის და მიედინება უქმად. 5. სასიამოვნო მგზავრობა მოულოდნელად დასრულდა. 6. გალობამ დაარღვია ბუნების სიმშვიდე. 7. მენახირეს სოფლის საქონელი, ანუ ნახირი აბარია. 8.ძველ წყაროებში ხარკის სახეობები: ვერცხლი, ოქრო, ტყვია... ერთად არის მოხსენიებული. 9. ყოველი მდინარის გაცნობა სათავიდან იწყება. 10. ქარავანი უკვე გასცდა სოფელს. ქარავანი ჩერდება. 11. ამ მარკის ფოლადი მას არასოდეს გამოედნო. 12. დაბნევა და უმოქმედობა გამარჯვებას არ მოგვიტანს. 13. ცისკრის ვარსკვლავის ბრწყინვამ წყვდიადი გარიყა. 14. ელვარებენ გუმბათები და ოქროს ჯვრები. 15. ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია! 16. აქ არ იყო არც აჩქარება, არც განცვიფრება. 17. შურთხებისა და კაკბების გუნდმა ფრთების შრიალით გადაუფრინა მწვანით შემოსილ მთებს. 18. ან ბუხარი სად ავუნთო, ან ნამდვილი ღვინო სად ვუშოვო? 19. აღარც - ბრძოლა, აღარც - ქროლა, აღარც შეძახება მწადის. 20. მეც მათრთოლებდა წინაპართა ძეგლების სუნთქვა.

2. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა რაოდენობა და რიგი

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ: რა არის სახელის ბ რ უ ნ ე ბ ა, რამდენი ბრუნვის ფორმა (ბ რ უ ნ ვ ა) აქვს ქართულ სახელს და რა თანამიმდევრობით არის ისინი დალაგებული;**
- **გავიაზრებთ: რა ფუნქცია აქვს თითოეულ ბრუნვას და რამ განაპირობა მათი დალაგება აღნიშნული თანამიმდევრობით;**
- **შევთხზავთ ტექსტს ერთი რომელიმე სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმის გამოყენებით.**



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

წავიკითხოთ ოთარ ჭილაძის ლექსი („ქარი მოვარდა ...“) და ვუპასუხოთ შეკითხვებს:

ქარი მოვარდა.
ქარმა მომაგნო.
ქარს გავეკიდე.
ქარის ბრალია.
ქარით დაღლილი
ქარად ვიქცევი.
ქარო, როდემდე ვიქნები ასე?

წვიმა მოვიდა.
წვიმამ მომისწრო.
წვიმას წავყვები.
წვიმის წილი ვარ.
წვიმით ავივსე.
წვიმად ვიქეცი.
წვიმავ, როდემდის ვიქნები ასე?

- ✓ რამდენნაირად იცვლის ფორმას ამ ლექსში სიტყვები „ქარი“ და „წვიმა“? რა ჰქვია არსებითი სახელის ამგვარ ფორმაცვალებას?
- ✓ რა თანამიმდევრობით არის დალაგებული ამ ლექსში ფორმაცვალებადი სახელები (გრამატიკული წესით თუ მწერლის ნება-სურვილის მიხედვით)?



დავალება:

გადაიწერეთ ლექსი რვეულში და აღნიშნული არსებითი სახელების (ქარი, წვიმა) თითოეულ ფორმას მიუწერეთ (წინა მხარეს) შესაბამისი ბრუნვის სახელწოდება.

ამის შემდეგ გადადით პარაგრაფის ტექსტზე და შეამოწმეთ, სწორად შეასრულეთ თუ არა დავალება.

არსებითი სახელის ფორმაცვალება

არსებითი სახელის (ასევე სხვა სახელების) ძირითადი ფორმაცვალება არის ბ რ უ ნ ე ბ ა. სახელს აქვს იმდენი ბრუნვა, რამდენნაირადაც იცვლის ფორმას ენაში (მეტყველებაში) გამოყენების დროს. ქართულში სახელს აქვს 7 ბ რ უ ნ ვ ა (ანუ – ბრუნვის ფორმა). თითოეულ ბრუნვას თავისი სახელიც ჰქვია:


1. სახელობითი
2. მოთხრობითი
3. მიცემითი
4. ნათესაობითი
5. მოქმედებითი
6. ვითარებითი
7. წოდებითი

ბრუნვათა თანამიმდევრობა წარმოდგენილი სახით უნდა დაიმახსოვროთ. ბრუნვების ამგვარად დალაგება განაპირობა რამდენიმე მიზეზმა:


- ✓ ბრუნვათა ფორმების მსგავსება-განსხვავების გათვალისწინებამ;
- ✓ ბრუნების დროს ზოგი ფორმის ფონეტიკურმა ცვლილებამ;
- ✓ ბრუნვათა ფუნქციების, ანუ მათი როლის გათვალისწინებამ ენაში.

როგორია ბრუნვათა ფუნქციები (როლი) მეტყველებაში:


1. **სახელობითი** სახელის მთავარი ბრუნვაა, რადგანაც სწორედ ამ ფორმით ვ ა ს ა ხ ე ლ ე ბ თ საგანს, როდესაც ვუპასუხებთ კითხვაზე: **რა** არის (**ვინ** არის) ესა თუ ის საგანი? სწორედ ამიტომ იკავებს ის ბრუნვათა რიგში პირველ ადგილს.



2. **პირველი სამი ბრუნვა (სახ. მოთ. მიც.)** იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს (მოქმედი პირის) ბრუნვებია, სუბიექტი კი მთავარ როლს ასრულებს წინადადებაში. ამავე დროს, მოთხრობითი მხოლოდ სუბიექტის როლს ასრულებს, როდესაც სახელობითი და მიცემითი ობიექტებსაც გამოხატავენ.



3. **ნათესაობითი, მოქმედებითი** და **ვითარებითი** ფორმის (დაბოლოების) გამო დალაგდა ამ თანამიმდევრობით. ამავე დროს, ნათესაობითი თავისი ფუნქციით (სხვა ფორმებთან კავშირის უნარით) არის მომდევნო ორ ბრუნვაზე უფრო მნიშვნელოვანი ბრუნვა.



4. **წოდებითს** ბოლო ადგილი უკავია იმის გამო, რომ თავისი ფუნქციით (სხვა სიტყვებთან კავშირის უნარით) ყველაზე უფრო შეზღუდული ბრუნვაა: ის მხოლოდ მიმართვის დროს გამოიყენება.

კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ, რომელი ფორმები შეესაბამება ბრუნვათა უკვე წარმოდგენილ სახელწოდებებს და, ამავე დროს, დავიმახსოვროთ მათი შემოკლებული ჩაწერა:

სახ. სახლ-ი
მოთ. სახლ-მა
მიც. სახლ-ს
ნათ. სახლ-ის
მოქ. სახლ-ით
ვით. სახლ-ად
წოდ. სახლ-ო



დავალება 1:

დაალაგეთ (რვეულში) ბრუნვები და მიუწერეთ თავიანთი შემოკლებები:

ვითარებითი
წოდებითი
მიცემითი
მოთხრობითი
მოქმედებითი
ნათესაობითი
სახელობითი



დავალება 2:

ამოწერეთ ტექსტიდან ხაზგასმული (გამუქებული) ფორმები და მიუწერეთ შესაბამის ბრუნვებს (რვეულში):

თუშური **ქუდი** ეხურა, **ალავერდობას** ნაყიდი. მხრებზე თეთრ **ყაბალახს** გადაიგდებდა. წელში გამართული მიდიოდა, ულვაშებში და თვალებში **სინათლე** უციმციმებდა. ო, ეს სინათლე მაშინ უნდა გენახათ, როცა ის „**ზამთარს**“ დაიწყებდა. „**ზამთარი**“ **გაგიჟებით** უყვარდა. „**ზამთრის**“ კარგ **მთქმელს** ქართლიდან მოიპატიჟებდა. **ღმერთი** აგრერიგად არ ახსენდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი **სოფლის მღვდელს** მეგობრობდა. ეს იმიტომ, რომ **მღვდელს** შესანიშნავი **გუნდი** ჰყავდა და თვითონაც გასაოცარი **მობანე** იყო, გასაოცარი მობანე და **კაკლის მბერტყავი**. **სოფლის** ყველაზე დიდ **კაკლებს** იმას აბერტყინებდნენ... ეჰეჰეი, ხვალ **შობა** უნდა გათენდეს. სერები ნისლში შეკარგულან. **ნისლი ხეხილის** ტოტებზეც იძენძება, ხორხოშელასავით მკვრივ **თოვლის** ფიფქებს უშენს, საღაცაა, თოვლი მიწაზეც მოიკიდებს **ფეხს**, **გომურის ბანი** გადათეთრებულა კიდეც. ბინდდება. **სიბნელე** და **ნისლი** ერთმანეთში ირევა.



...პაპაც შინ არის. თავისი მჭრელი სასხლავი **დანით** იმ დღისით დაკლული **ღორის ხორცს** აბასტურმებს. **ბებია**, **დედაჩემი** და ჩემი ძალუებიც დიდ სამზადისში არიან. **ღუმელს** გვერდები გასწითლებია და ისე ცხელა, **კარი** ღია გვაქვს. კარში ჩვენი დიდი, ბანჯგვლიანი **სამურა** ჩაწოლილა და დროგამოშვებით **ნერწყვს** ყლაპავს, ტუჩებს ილოკავს.

რევაზ ინანიშვილი, „ზამთარი“

დავალება 3:

მოძებნეთ მოცემულ წინადადებებში ორი არსებითი სახელის ყველა ბრუნვის ფორმა, გადმოიწერეთ რვეულში, დაალაგეთ თანამიმდევრობით და მიუწერეთ შესაბამის ბრუნვათა სახელწოდებები შემოკლებული ფორმით. მიუთითეთ აგრეთვე იმ წინადადების ნომერი, რომელშიც შეგხვდათ სიტყვა ამ ბრუნვის ფორმით:

1. ჩემი სახლის კარი თქვენთვის მუდამ ღიაა. 2. ამერიკელი ატლანტის ოკეანის გადალახვას ჰელიუმის ბუშტებზე გამობმული სახლით აპირებს. 3. ჩემო დედულ-მამულო, ჩემო ტკბილო სახლო და კარო, ჩემო დედ-მამის ფუძევ! 4. დევნილი ოჯახი თავად არჩევს კერძო სახლს მიწის ნაკვეთით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. 5. ერთი კარით დარბაზი კოშკს უკავშირდება, მეორე კართან კიბეა მიდგმული. 6. არქიტექტორმა მიტო-

ვებული ცემენტის ქარხანა უნიკალურ სახლად გადააქცია. 7. სახლი ის ადგილია, რომლის კარსაც შევაღებ თუ არა, საყვარელ, ნაცნობ არომატებს შევისუნთქავ და ფორიაქი მთავრდება. 8. ოთახის კარის არჩევისას რომ არ შეცდეთ, აუცილებლად წაიკითხეთ ეს რჩევები. 9. სახლო, ღმერთმა აგაშენოს, სახლო, სალხინოდ ნაგებო, სამხიარულოდ ნაცვეთო! 10. მეეტლეს ვუბრძანე წასულიყო... ამ დროს კარმა გაიჭრიალა. 11. მეგობრების მიერ შეძენილმა სახლმა ესპანეთში სამუშაოდ წასული დევნილი სამშობლოში დააბრუნა. 12. მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში შეისრული ბუხარია, რომელიც მოგვიანებით კარად გადაუკეთებიათ.

დავალება 4:

შექმენით რაიმე ტექსტი ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი სიტყვის ყველა ბრუნვის ფორმის გამოყენებით (შეგიძლიათ სანიმუშო მაგალითად ოთარ ჭილაძის ლექსი გამოიყენოთ):

ბიჭი, გოგო, ბურთი, ჟირაფი, სიხარული, გამარჯვება, ტკივილი, ღრუბელი, დედა, მასწავლებელი.

3. სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ: რა არის სახელის ფ უ ძ ე და როგორ უნდა ვიპოვოთ ის;**
- **გავარკვევთ: სახელის ფუძის რამდენგვარი დაბოლოება გვხვდება და როგორ უნდა გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან;**
- **ვისწავლით: როგორ უნდა ჩავწეროთ გრამატიკული წესი თვალსაჩინო ა ლ გ ო რ ი თ - მ ი ს (ანუ ამოცანის გადაწყვეტის თანამიმდევრული პირობის) სახით.**



დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

- ✓ მივუბრუნდეთ წინა პარაგრაფის დასაწყისში მოხმობილ ლექსს და დავაკვირდეთ, ამ სიტყვების (**ქარი, წვიმა**) რომელი ნაწილი რჩება უცვლელი და რომელი იცვლება;
- ✓ ხედავთ თუ არა ამ ორ სიტყვას შორის განსხვავებას ამ თვალსაზრისით?

ახლა გავეცნოთ პარაგრაფის ტექსტს და შევამოწმოთ, რამდენად მართებული იყო ჩვენი დაკვირვება.

ბრუნვის ფორმების ურთიერთშედარებით ადვილად დავინახავთ, რომ ბრუნების დროს სახელის ძირითადი ნაწილი უცვლელია, ხოლო დაბოლოება იცვლება – ის ყოველ ბრუნვას თავისი საკუთარი აქვს.



დაიმახსოვრეთ!

ბრუნვის ფორმათა უცვლელ ნაწილს სახელის ფ უ ძ ე ჰქვია; ხოლო ბრუნვის ცვალებადი დაბოლოება ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი ა.




დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

ბრუნვა	ფუძე	ბრ. ნიშ.	ფუძე	ბრ. ნიშ.
1. სახ.	ქარ	**-ი**	წვიმა	**-**
2. მოთ.	ქარ	**-მა**	წვიმა	**-მ**
3. მიც.	ქარ	**-ს**	წვიმა	**-ს**
4. ნათ.	ქარ	**-ის**	წვიმ	**-ის**
5. მოქ.	ქარ	**-ით**	წვიმ	**-ით**
6. ვით	ქარ	**-ად**	წვიმა	**-დ**
7. წოდ.	ქარ	**-ო**	წვიმა	**-ვ**

როგორ ვიპოვოთ სახელის ფუძე სწრაფად და სწორად ისე, რომ შვიდივე ბრუნვის ფორმის ჩამოწერა არ დაგვჭირდეს?

ამისათვის უმჯობესია სახელი ავიღოთ მ ი ც ე მ ი თ ი ბრუნვის ფორმით, ჩამოვაცილოთ მას დაბოლოება და, რაც დარჩება, ის იქნება სახელის ფუძე (მიცემით ბრუნვაში ყველა სახელის ფუძე უცვლელია).



როგორც **ქარ-ი** სიტყვის ბრუნების მაგალითით ჩანს, ყველა ბრუნვის ნიშანი განსხვავებულია, ფუძე კი ყველა ბრუნვას საერთო აქვს.

მაგრამ თუ შევადარებთ „**ქარ**“ და „**წვიმა**“ ფუძეებს, აღმოვაჩენთ, რომ არც ფუძეა ყოველთვის უცვლელი; ამაში „**წვიმა**“ სიტყვის ბრუნება გვარწმუნებს.

ამგვარად, ყველა სახელი ერთნაირად არ იბრუნება; ამისი მიზეზი კი სახელის ფუძის დაბოლოებაა.

სახელი ფუძის დაბოლოების მიხედვით ორგვარია:

ა) **ფუძეთანხმოვნიანი**, ანუ სახელი, რომლის ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება (და რომელსაც მოსდევს სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი**): **სახლ**-ი.

ბ) **ფუძეხმოვნიანი**, ანუ სახელი, რომლის ფუძე რომელიმე ხმოვნით ბოლოვდება: **წვიმა**, **რძე**, **რკო**, **კუ**.

ჩავწეროთ ეს გრამატიკული წესი თვალსაჩინო ალგორითმის სახით:



დავალება 1:

დაალაგეთ ბრუნვის ნიშნები საჭირო თანმიმდევრობით ბრუნვათა სახელწოდებების გამოყენებით და ჩაწერეთ რვეულში:

-ად
-ი
-ით
-ის
-მა
-ო
-ს

დავალება 2:

ზემომითითებული ალგორითმის მიხედვით გააანალიზეთ სახელთა მოცემული ფორმები: გამოყავით სახელთა ფუძეები და დააჯგუფეთ ფუძეთანხმოვნიან და ფუძეხმოვნიან სახელებად. რვეულში გადახაზეთ და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

ფუძეთანხმოვნიანი	ფუძეხმოვნიანი
გველ-ს	ძმა-მ

ძმამ, მაგიდის, გველს, წყაროს, ტყით, ბარტყმა, მეგობარო, მგლის, ცხენი, მერცხლად, სოფელო, მზის, გვერდს, ღამის, ეზოს, მატარებლის, სარკმლით, ხალხი, ბლის, მსხლით, კალამმა, თევზს, მეზობელო, საძირკველი, თივით, წიგნმა, ჩანჩქერს, სკამით, ხუროო, კურდღელმა, მელიად, წეროსი, კარვის, მასწავლებლად, მხატვარო...

დავალება 3:

მოძებნეთ ტექსტში ფუძეხმოვნიანი და ფუძეთანხმოვნიანი არსებითი სახელები და გადაწერეთ რვეულში:



ეს მუხა ტყის პირას დგას, – ბებერი, ჯმუხი, ტანდაკოჟრილი, ფოთლებშეთხელებული. აღარც ჩრდილს იფენს, აღარც რკოს ისხამს. იშვიათად თუ ეწვევა ვინმე, – ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი. საუკუნეებით დაღლილს, გაწამებულს ხანდახან ქორი თუ მოებმება ხმელ კენწეროზე, ისიც უძრავი, მრისხანედ მიშტერებული ველისკენ; ხანდახან კოდალა თუ მოინახულებს; სწრაფად, უგულოდ შემოურბენს ირგვლივ, თითქოს ვალდებულების მოსახდელად ორიოდეჯერ დაჰკრავს ნისკარტს, – კივ-კივო! – ანუგეშებს და გაფრინდება სხვა ხეებისკენ. ციყვებმაც კი მიატოვეს და წავიდნენ...

ამ რამდენიმე წლის წინათ მუხის მეზობლად, ლამაზი თელის ძირში, მონადირეებმა შეისვენეს. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სუფრა, დაიწყეს პურობა და სმა. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, აყაყანდნენ: არა მე გჯობივართ სროლაში, არა მეო. ერთი მონადირე წამოდგა და თქვა: – აი, ბურთი და აი, მოედანი! – მუხის დიდ კოჟრზე ასანთის კოლოფი დასვა, – ვესროლოთო. ზოგი ფეხმორთხმული ისროდა, ზოგი – წამოწოლილი. სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით.

მონადირეები რომ წავიდნენ, ქარი ამოვარდა, მუხის სველი ჭრილობა მიწით ამოივსო. გამოხდა ხანი, - თვეები, წლები. და, აი, წლეულს, გაზაფხულზე, ის მონადირე, ასანთის კოლოფი რომ დასვა მუხაზე, უკვე ჭარმაგი, პატარა შვილი-შვილთან ხელჩაკიდებული, ისევ მოხვდა ამ ადგილებში.

მუხის ნაჭრილობევში მთელი ბღუჯა ია ამოსულიყო და ჟრიამულით ყვაოდა.

მონადირის შვილიშვილმა, ლამაზმა, ყურებსიფრიფანა გოგონამ, აღტაცებულმა ჩაიმუხლა, მუხას ხელები მოხვია და მიეხუტა.

რევაზ ინანიშვილი, „მუხა“

4. ფუძეთანხმოვნიანი სახელები. ფუძის კუმშვა

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიხსენებთ: რა თავისებურება ახასიათებს ფ უ ძ ე თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ი არსებითი სახელების ბრუნებას;
- რა არის კ უ მ შ ვ ა; რომელი ბგერები იკუმშება და რომელ ბრუნვებში იჩენს თავს ეს მოვლენა;
- ვისწავლით: როგორ ავაგოთ და გამოვიყენოთ გრამატიკული წესის ამსახველი თვალსაჩინო ალგორითმი მართლწერის შესამოწმებლად.

დააკვირდით, როგორ იბრუნება არსებითი სახელი „სახლი“:

ბრუნვა	ფუძე	ბრუნვის ნიშანი
1. სახ.	სახლ	**-ი**
2. მოთ.	სახლ	**-მა**
3. მიც.	სახლ	**-ს**
4. ნათ.	სახლ	**-ის**
5. მოქ.	სახლ	**-ით**
6. ვით.	სახლ	**-ად**
7. წოდ.	სახლ	**-ო**

ვუპასუხოთ კითხვებს:

- ✓ იცვლება თუ არა სახელის ფუძე რომელიმე ბრუნვაში?
- ✓ სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნები?

ახლა ამ ნიმუშის მიხედვით დავაკვირდეთ ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებს:







ბრუნვა	ფუძე	ბრუნვის ნიშანი	ფუძე	ბრუნვის ნიშანი	ფუძე	ბრუნვის ნიშანი
1. სახ.	ძვალ	**-ი**	მგელ	**-ი**	მაწონ	**-ი**
2. მოთ.	ძვალ	**-მა**	მგელ	**-მა**	მაწონ	**-მა**
3. მიც.	ძვალ	**-ს**	მგელ	**-ს**	მაწონ	**-ს**
4. ნათ.	ძვლ	**-ის**	მგლ	**-ის**	მაწვნ	**-ის**
5. მოქ.	ძვლ	**-ით**	მგლ	**-ით**	მაწვნ	**-ით**
6. ვით.	ძვლ	**-ად**	მგლ	**-ად**	მაწვნ	**-ად**
7. წოდ.	ძვალ	**-ო**	მგელ	**-ო**	მაწონ	**-ო**



უპასუხეთ კითხვებს:

- ✓ იცვლება თუ არა სახელის ფუძე რომელიმე ბრუნვაში?
- ✓ რა იცვლება სახელის ფუძეში და რომელ ბრუნვებში ხდება ეს ცვლილება?
- ✓ ფუძეთანხმოვნიანია თუ ფუძეხმოვნიანი სახელები, რომელთა ბრუნვის ნიმუშებიც მოვიყვანეთ (**სახლი**, **ძვალი**, **მგელი**, **მაწონი**)? რა დასკვნის საფუძველს გვაძლევს ეს ფაქტი?
- ✓ რომელი სახელის ფუძეში დაიკარგა ხმოვანი და რომელი სახელის ფუძეში ჩანაცვლდა სხვა ბგერით?
- ✓ რომელი ხმოვნები დაიკარგა და რომელი ჩანაცვლდა?
- ✓ იმ ბრუნვებში, რომლებშიც სახელის ფუძე იცვლება, ბრუნვის ნიშანი თანხმოვნით იწყება თუ ხმოვნით? რა დასკვნის საფუძველს იძლევა ეს ფაქტი?

ამგვარად:

სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნების ურთიერთგავლენის თვალსაზრისით იდეალურია ის შემთხვევა, როდესაც ფუძეც უცვლელია და ბრუნვის ნიშნებიც სრულად გვაქვს (**სახლ-ი**, **სახლ-მა**...).

მაგრამ ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშნები (დავაკვირდეთ: ასეთია ნათ., მოქ. და ვით. ბრუნვათა დაბოლოებები: **-ის**, **-ით**, **-ად**) ზოგ სახელში იწვევენ ფუძის ბოლო მარცვლის ხმოვნის გაქრობას (**ძვ#ლ**-ის, **მგ#ლ**-ად).

როგორც ვნახეთ, **ო** ხმოვანი „მაწონ-“ სიტყვაში მთლად არ გამქრალა, ფუძეში მისი ნაშთი დარჩა (**ვ**). მაგრამ თუ **ო** ხმოვნის შემცველ ფუძეში სხვა მსგავსი ბგერაც აღმოჩნდა (**ო**, **უ**, **ვ**, **ბ**, **მ**), მაშინ ო ხმოვანი სრულად დაიკარგება; მაგ.:



ბრუნვა	ფუძე	ბრ.ნიშ.
1. სახ.	გოდორ	**-ი**
2. მოთ.	გოდორ	**-მა**
3. მიც.	გოდორ	**-ს**
4. ნათ.	გოდ#რ	**-ის**
5. მოქ.	გოდ#რ	**-ით**
6. ვით.	გოდ#რ	**-ად**
7. წოდ.	გოდორ	**-ო**

შევაჯამოთ ზემოთ თქმული:

ფუძეთანხმოვნიანი სახელების ბოლო მარცვლიდან ბრუნების დროს შეიძლება ამოვარდეს ხმოვანი; ამგვარ ფონეტიკურ ცვლილებას ჰქვია კ უ მ შ ვ ა.


იკუმშება **სამი** ხმოვანი (**ა, ე, ო**);

რაც მთავარია, კუმშვა ხდება **სამ** ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში.


შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ჩვეულებისამებრ, იკუმშება ნარნარა ბგერებზე (**ლ, მ, ნ, რ**) დასრულებული ბოლო მარცვალი: **არ, ერ, ორ, ალ, ელ, ოლ, ამ, ემ, ომ, ან, ენ, ონ**... იშვიათად – ხშულ ბგერებზე დასრულებული ფუძეც (მაგ. **ბეჭედი, ყასაბი**...).

ჩავწეროთ „კუმშვის“ განმარტება გამარტივებული სქემის სახით:



არის თუ არა ფუძე კუმშვადი?



დავალება 1:

აბრუნეთ ფუძეუკუმშველი სახელები: ბარათი, დათვი, გვერდი, ქალაქი.

დავალება 2:

აბრუნეთ ფუძეკუმშვადი სახელები: კოკორი, ძვალი, ჭიშკარი, ყასაბი, ბეჭედი.

დავალება 3:

მოძებნეთ მოცემულ მაგალითებში და ცალ-ცალკე ამოწერეთ უკუმშველი და კუმშვადი არსებითი სახელები:

1. დიდი ვენახი ამშვენებდა თავადის მამულს. 2. გვირაბიდან მდორედ გამოცურებული მატარებელი ღარიბთა გარეუბანში მიგრიალდა. 3. სამჯერ შემოუვლიდა პირჯვრის წერით მონასტრის ტაძარს. 4. ვენახში დიდი ჭერამი გვედგა – შებუთქვილი, დახუნძლული. 5. სტუმარი და მასპინძელი მოგუზგუზე ბუხრის პირას ისხდნენ. 6. ზოოპარკში პირველად თეთრი დათვები არიან. 7. კუნელის ბუჩქიდან სამი შაშვი ამოფრინდა. 8. ახალ წელს აჭარლის ოჯახი დიდი მოწიწებით ეგებება. 9. მთელი დაბლობის ბაღნარები ხვატს გადაეხრუკა. 10. არავის არ დაედება ტყლაპად და ქალამნის ძირად. 11. ყველანი შეჯგუფდნენ საყდრის გალავნის კედელთან, სადაც საარაყე ქვაბებში საკლავები იხარშებოდა. 12. შადრევნისა და შავარდნის ხმებით მიმღერია და ვიმღერებ კიდეც.

დავალება 4:

იპოვეთ შეცდომები ამ წინადადებებში, გაასწორეთ და ისე გადაწერეთ რვეულში:

1. დანაღმულია ეს მინდვრები ხოხობითა და კაკაბით. 2. ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი, ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება. 3. გვეყო, რაც მტერთან ბრძოლაში ძვალები გადაგვიყრია. 4. ღამღამობით ორთქლმავალების მოულოდნელი შეკივლება აღვიძებდა. 5. ავი და ბოროტი არის დედინაცვალის სურვილი. 6. ბევრისგან ბევრი მსმენია წუთისოფელის გმობა. 7. მთაზე ცისარტყელა გადაირკალა და დედაჩემი თავშესაფარიდან გამოვიდა. 8. ფაფუკი სავარძელის სახელურზე აათამაშა მშვენიერი თითები. 9. უწინდებურად მარტო ვარ, დარდის ღრუბელად ქცეული. 10. ისევ იპენტებიან ნუშის, ატამის, ვაშლის, მსხალისა და ტყემალის ყვავილები. 11. შენ ხმალის ღარზე ეწერე, ანდერძი ოქროხმოვანი. 12. მაგრამ ამ სისხლის მოედანიდან ხმალმოუქნევლად არვინ გასულა. 13. თითქოს ქალი ფანჯარიდან იყურება, ვაშლი – ხიდან. 14. მათი ხმალის ნაკრავით რაზმი ილეწებოდა. 15. ბებია დაიწყებდა ხახვის მარგვლას ან პამიდორის ახვევას. 16. საშინელი ქარიშხალის დროს განდეგილს ესმის ადამიანის ხმა. 17. ჯერ კი იყო წყნარად, მერე, რო შეთვრა, ააფრინა მწყერები.

5. ფუძეხმოვნიანი სახელები. ფუძის კვეცა. კუმშვა-კვეცა

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიხსენებთ: რა თავისებურება ახასიათებს ფუძეხმოვნიან არსებითი სახელების ბრუნებას;
- გავარკვევთ: რა არის კვეცა; რომელი ბგერები იკვეცება და რომელ ბრუნვებში იჩენს თავს ეს მოვლენა;
- ვისწავლით: როგორ ავაგოთ და გამოვიყენოთ გრამატიკული წესის ამსახველი თვალსაჩინო ალგორითმი მართლწერის შესამოწმებლად.

გავიხსენოთ:

- ✓ „**მამა**“, „**მამალი**“ – როგორ დავახასიათებთ ამ არსებით სახელებს ფუძის დაბოლოების თვალსაზრისით (ანუ რომელი მათგანია ფუძეთანხმოვნიანი და რომელი – ფუძეხმოვნიანი)?
- ✓ რა ხდება ზოგიერთი ფუძეთანხმოვნიანი (მაგ. **ძვალი**) სახელის ბრუნების დროს?

ახლა დააკვირდით ფუძეხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნებას და უპასუხეთ კითხვებს:



ბრუნვა	ფუძე	ბრ. ნიშ.	ფუძე	ბრ. ნიშ.
1. სახ.	თხა		კლდე	
2. მოთ.	თხა	**-მ**	კლდე	**-მ**
3. მიც.	თხა	**-ს**	კლდე	**-ს**
4. ნათ.	თხ#	**-ის**	კლდ#	**-ის**
5. მოქ.	თხ#	**-ით**	კლდ#	**-ით**
6. ვით.	თხა	**-დ**	კლდე	**-დ**
7. წოდ.	თხა	**-ვ**	კლდე	**-ვ**


- ✓ აქვთ თუ არა ფუძეხმოვნიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი?
- ✓ რა ნიშნები აქვთ მათ მოთხრობითსა და ვითარებით ბრუნვებში? გაიხსენეთ, რა ნიშნები ჰქონდათ თანხმოვანფუძიან სახელებს ამ ბრუნვებში?
- ✓ რა ნიშანი აქვთ წოდებით ბრუნვაში? (გაითვალისწინეთ: ერთ- და ზოგ ორმარცვლიან სახელში დასაშვებია -ო დაბოლოებაც: ცა-ო, დღე-ო, დედა-ო...)
- ✓ იცვლება თუ არა სახელის ფუძე? თუ იცვლება, რომელ ბრუნვებში ხდება ეს ცვლილება?

1. როგორც ხედავთ, ფუძეხმოვნიანი სახელის ბრუნების დროს შესაძლებელია დაიკარგოს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი (კლდ#-ის, კლდ#-ით). ფუძის ამგვარ ცვლილებას ჰქვია კვეცა.

იკვეცება **ორი** ხმოვანი – **ა** და **ე**.

კვეცა ხდება **ორ** ბრუნვაში - ნათესაობითსა და მოქმედებითში.

სქემის სახით:



ახლა სცადეთ თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბოთ კვეცის განმარტება (სქემაზე დაყრდნობით).

ეს გასათვალისწინებელია:

ა და **ე** ფუძეხმოვნიანი ყველა სახელი კვეცადი არ არის; ასეთებია, მაგალითად, ფუძეები, რომლებშიც ეს ხმოვნები სიტყვამაწარმოებელი დაბოლოებები ჩანს (მაგ. **წითელა**), ან **ე**-ზე დაბოლოებული ფუძეები, რომლებიც უცხო წარმომავლობისაა (მაგ. **ბეზე**).


მაგალითად:



ბრუნვა	ფუძე	ბრუნვის ნიშანი	ფუძე	ბრუნვის ნიშანი
1. სახ.	მელა		კაშნე	
2. მოთ.	მელა	**-მ**	კაშნე	**-მ**
3. მიც.	მელა	**-ს**	კაშნე	**-ს**
4. ნათ.	მელა	**-ს(ი)**	კაშნე	**-ს(ი)**
5. მოქ.	მელა	**-თი**	კაშნე	**-თი**
6. ვით.	მელა	**-დ**	კაშნე	**-დ**
7. წოდ.	მელა	**-ვ**	კაშნე	**-ვ**

როგორ უნდა გამოვიცნოთ, კვეცადია თუ არა ფუძე? ამ მიზნით შევადგინოთ ალგორითმი და გამოვიყენოთ ის საჭირო შემთხვევაში:

არის თუ არა ფუძე კვეცადი?



2. ცალკე უნდა დავიმახსოვროთ ათიოდე ფუძეხმოვნიანი სახელი, რომელთა ფუძე არა მხოლოდ ი კ ვ ე ც ე ბ ა, არამედ ი კ უ მ შ ე ბ ა კიდეც; ასეთ სახელებს კ უ მ შ ვ ა დ - კ ვ ე ც ა დ ი ჰქვია.

მაგალითად:



ბრუნვა	ფუძე	ბრუნვის ნიშანი
1. სახ.	ფანჯარა	
2. მოთ.	ფანჯარა	**-მ**
3. მიც.	ფანჯარა	**-ს**
4. ნათ.	ფანჯ#რ#	**-ის**
5. მოქ.	ფანჯ#რ#	**-ით**
6. ვით.	ფანჯ#რ#	**-ად**
7. წოდ.	ფანჯარა	**-ვ**

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

კუმშვა-კვეცის დროს სახელი ვითარებით ბრუნვაშიც იკვეცება!

კუმშვად-კვეცადი სახელები ცოტაა, თანამედროვე ქართულში რამდენიმე ფუძე გვხვდება: **ქარხანა, ფანჯარა, ტომარა, ქვეყანა, ბეგარა, პეპელა, მოყვარე, მხარე**.

დავალება 1:

ქვემოთ მითითებული სქემა გადახაზეთ რვეულში. ჩამოწერეთ და შეადარეთ ერთმანეთს უკუმშველი, უკვეცელი, კვეცადი და კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნვის ნიშნები:

ბრუნვები	უკუმშველი	უკვეცელი	კვეცადი	კუმშვად-კვეცადი
სახ. მოთ. მიც. ნათ. მოქ. ვით. წოდ.				

დავალება 2:

აბრუნეთ უკვეცელი სახელები: ბებერა, წყარო, კუ, ეკალა, წიწიბო, ჩაი.

დავალება 3:

აბრუნეთ კვეცადი და კუმშვად-კვეცადი სახელები: ზღვა, მთვარე, მანქანა, კლდე, მხარე.

დავალება 4:

მოძებნეთ და რვეულში ამოწერეთ ცალ-ცალკე უკვეცელი და კვეცადი, აგრეთვე კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელები; მიუწერეთ თითოეულს სრული ფუძე:

1. წყალმცენარეების სუნით გაჟღენთილ ჰაერში ლაღად დაფარფატებდა პეპელა. 2. ბავშვმა ფეხში სისველე იგრძნო და ორთვალაზე ავიდა. 3. მუხის ნაჭრილობევში მთელი ბღუჯა ია ამოსულიყო. 4. იორი მიმღეროდა ამ სიმღერას. 5. თურმე ხაროში ინახავდნენ ძვირფას ნივთებს. 6. ბებია ანამ მშვიდობიანად განვლო წუთისოფლის უდაბნო და წავიდა. 7. არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა. 8. კაბინის ფანჯრიდან მანქანის წამყვანმა გამოყო თავი. 9. მუხის დიდი მაგიდის შუაგულში იდგა ნაირ-ნაირი

ხილით პირთამდე სავსე ვაზა. 10. გზის მოსახვევში დადგმული მრგვალი სარკისაგან მხოლოდ ჩარჩო იყო დარჩენილი. 11. იდუმალი სიჩუმით დაყურსულიყო მკრთალი მთვარით განათებული არემარე. 12. გვიანი ღამის ვახშმის სამზადისს შესდგომოდნენ ქარხნიდან დაბრუნებული მუშები. 13. მდინარის ნაპირებზე აქა-იქ დარჩენილიყო წყალდიდობისაგან წამოღებული ხეების ნალეწი. 14. გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა... 15. სასახლის ყველა ფანჯარას სქელი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.



დავალება 5:

იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომა ფუძეხმოვნიანი სახელების ბრუნვის ფორმათა დაწერილობაში. გასწორებული წინადადებები გადაწერეთ რვეულში:

1. რაკი ლაპარაკი პაპებზე ჩამოვარდა, ერთი პაპას ამბავს გიამბობთ. 2. მოულოდნელად განიცადა პეპელის ფრთების შეხება გამომშრალ ტუჩებზე. 3. ჩრდილოეთით მას ერტყა ახალმოზარდი მუხისა და რცხილას შიმელა ტყე. 4. მთვარეს სხივს თუ ჩამოჰყვა. 5. წვიმის წინწკლები ეხლებიან ფანჯარის მინებს. 6. სპილომ ყური არ ათხოვა ჭიანჭველას ვედრებას. 7. იმას გეუბნებოდიო, ფანჯარიდან გადმოდიო. 8. პირმოხსნილი ტომარიდან კაკალი ძარაზე ცვიოდა. 9. პეპელას ფრთებზე ყვავილების მტვერი ციმციმებდა. 10. როცა ყაყანი ქვეყანისა სრულად მისწყდება და აღარ ისმის ბოროტების ხმა... 11. საქართველოში მოგზაურობისას რაჭაში აღმოჩნდა და განსაკუთრებით მოიხიბლა ტვიშის ღვინოთი. 12. ახალგაზრდები, რომლებიც დღეს სწავლებას შემოუერთდნენ, არიან საუკეთესო გზავნილი როგორც მტრისთვის, ისე მოყვარისთვის. 13. ხავსით იყო დაფარული ძველთუძველესი ხელადას პირი და სახელური. 14. ბავშვის წინდას მოსაქსოვად ვეძებ თივთიკის ბეწვის ნართს. 15. აკაკის „განთიადი“ პირდაპირ ღმერთის ბაგედან არის გადმოსული.

6. ბრუნების ტიპები


პარაგრაფის მიზანდასახულობა

- შევაჯამოთ ფუძეთანხმოვნიანი და ფუძეხმოვნიანი სახელების ბრუნებაზე დაკვირვების დროს გამოვლენილი ცვლილებები;
- გამოვყოთ ბრუნების ტიპები სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშნებში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით;
- შევადგინოთ იმ გამონაკლისი სახელების რუკა, რომლებიც დასახელებულ ბრუნების ტიპებში არ თავსდება.

გავიხსენოთ:

- ✓ რა არის სახელის ფუძე და როგორ უნდა ვიპოვოთ ის? (გამოყავით ფუძე შემდეგ სახელებში: **სახლი**, **კედელი**, **წყარო**, **სახე**, **პეპელა**).
- ✓ რამდენ ჯგუფად იყოფა სახელები ფუძის დაბოლოების მიხედვით?
- ✓ რა შეიძლება მოხდეს სახელის ფუძეში ამ ორი ჯგუფის სახელების ბრუნების დროს?

ახლა დავაკვირდეთ 5 სახელის ბრუნებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ არცერთი მათგანი არ ემთხვევა რომელიმე სხვას:








სახ.	სახლ-**ი**	კედელ-**ი**	წყარო	სახე	პეპელა
მოთ.	სახლ-**მა**	კედელ-**მა**	წყარო-**მ**	სახე-**მ**	პეპელა-**მ**
მიც.	სახლ-**ს**	კედელ-**ს**	წყარო-**ს**	სახე-**ს**	პეპელა-**ს**
ნათ.	სახლ-**ის**	კედ#ლ-**ის**	წყარო-**ს(ი)**	სახ#-**ის**	პეპ#ლ#-**ის**
მოქ.	სახლ-**ით**	კედ#ლ-**ით**	წყარო-**თი**	სახ#-**ით**	პეპ#ლ#-**ით**
ვით.	სახლ-**ად**	კედ#ლ-**ად**	წყარო-**დ**	სახე-**დ**	პეპ#ლ#-**დ**
წოდ.	სახლ-**ო**	კედელ-**ო**	წყარო-**ვ**	სახე-**ვ**	პეპელა-**ვ**

ვუპასუხოთ კითხვებს:

- ✓ რომელი სახელის ბრუნებისას არის უცვლელი ფუძეც და ბრუნვის ნიშნებიც? ფუძეთანხმოვნიანია ეს სახელი თუ ფუძეხმოვნიანი?
- ✓ რომელი სახელის ბრუნებისას შეიმჩნევა მხოლოდ ფუძის კუმშვა? ფუძეთანხმოვნიანია ეს სახელი თუ ფუძეხმოვნიანი?
- ✓ რომელი სახელის ბრუნებისას შეიმჩნევა მხოლოდ ბრუნვის ნიშნების ცვლილება? ფუძეთანხმოვნიანია ეს სახელი თუ ფუძეხმოვნიანი?
- ✓ რომელი სახელის ბრუნებისას იკვეცება ფუძე? ფუძეთანხმოვნიანია ეს სახელი თუ ფუძეხმოვნიანი?
- ✓ რომელი სახელის ბრუნებისას ხდება ფუძის კუმშვაც და კვეცაც? ფუძეთანხმოვნიანია ეს სახელი თუ ფუძეხმოვნიანი?

როგორც ვხედავთ, ამ სახელთა ბრუნებისას მხოლოდ პირველი ტიპი გვიჩვენებს უცვლელად ფუძესაც და ბრუნვის ნიშნებსაც (**სახლ-ი**). ყველა სხვა შემთხვევაში ან ფუძე იცვლება, ან – ბრუნვის ნიშნები, ან – ორივე ერთად. სწორედ ამ ცვლილებათა კომბინაცია ქმნის ბრუნების დანარჩენ ოთხ ტიპს.

აი, ბრუნების ხუთი ტიპის ამსახველი სქემა ყველა პირობის გათვალისწინებით:



ზოგ ამ ტიპს ემატება თავისი ქვეტიპები, რაც გამოჩნდება არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას.



ეს გასათვალისწინებელია:

ცალკე უნდა დავიმახსოვროთ რამდენიმე გამონაკლისი, რომლებსაც ვერცერთ დასახელებულ ტიპში ვერ მოვაქცევთ:

ა) **ღვინო**: ერთადერთი **ო**-ხმოვნიანი ფუძეა, რომელიც იკვეცება: **ღვინო**, **ღვინო**-მ, **ღვინო**-ს, **ღვინ#**-ის, **ღვინ#**-ით, **ღვინო**-დ, **ღვინო**-ვ.

ბ) **ხუცეს**-ი: ეს ფუძე ძველად იკუმშებოდა, რის შედეგადაც **ს** თანხმოვანიც იკარგებოდა; ამიტომაც შეიძლება ის ორი სახით შეგვხვდეს: შ ე კ უ მ შ უ ლ ი (**ხუც**-ის, **ხუც**-ით, **ხუც**-ად) და შ ე უ კ უ მ შ ა ვ ი (**ხუცეს**-ის, **ხუცეს**-ად...).


გ) **ღმერთ**-ი: ეს ფუძე სათანადო ბრუნვებში იკუმშებოდა: **ღმ#რთ**-ის, **ღმ#რთ**-ით, **ღმ#რთ**-ად. ამ შეკუმშულმა ფუძემ ფონეტიკური ცვლილებით მოგვცა: **ღვთ**-ის, **ღვთ**-ით, **ღვთ**-ად. ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს ორივე ვარიანტი: **ღმრთ**-ის – როგორც არქაული, **ღვთ**-ის – როგორც ახალი სალიტერატურო ქართული.

დ) **ამბავ**-ი: ეს ფუძე კუმშვადია, ოღონდ ხმოვანთან ერთად ფუძის ბოლო თანხმოვანიც იკარგება: **ამბ**-ის, **ამბ**-ით, **ამბ**-ად.

ე) **დრო**: **დრო**-ის, **დრო**-ით (რადგან ფუძეუკვეცელია, მოსალოდნელი იყო ხმოვანდაკარგული ბრუნვის ნიშნით – დრო-სი).

ვ) **მხარე**: ჩვეულებისამებრ, კუმშვად-კვეცადი სახელია (**მხ#რ#**-ის, **მხ#რ#**-ით, **მხ#რ#**-ად), მაგრამ თანამედროვე ტერმინად გამოყენებისას ის მხოლოდ კვეცადია; მაგ.: იმერეთის **მხარის** დეპუტატი.

გაერთიანებული სქემა:



დავალება 1:

გადაიწერეთ რვეულში და აბრუნეთ შემდეგი სახელები; მიუთითეთ, რომელი ტიპისაა თითოეული მათგანი: საბელი, ვაშლი, ქარხანა, თარო, სარკე.

დავალება 2:

ამოკრიბეთ სახელის ფორმები ტექსტიდან და დააჯგუფეთ ბრუნების ტიპების მიხედვით:

თოვლი მოხშირებულიყო, ახლა უკვე ნამდვილად ბარდნიდა. ნელ-ნელა დაუყვნენ დაღმართს. სეზარი მკლავებს განზე ეწეოდა და თითებს ხან მოკუმშავდა, ხან გაშლიდა. ხარბად ისუნთქავდა ნოტიო ჰაერს. აშკარად გრძნობდა, რომ მკერდიც გაუდიდდა, აუმაღლდა, ფეხები ხომ მთლად დამსუბუქებოდა, თითქოს ხელების ერთი დაქნევა და, როგორც სიზმარში უნახავს, მოსწყდებოდა მიწას, აფრინდებოდა მაღლა. წათე ხომ მიდიოდა და მიდიოდა ღონივრად. ბედნიერ თვალებს მოანათებდა



ბექაც. წყალზე რომ გადავიდნენ და აღმართს შეუყვნენ, ცხენის ფეხის ხმა მოესმათ სოფლის მხრიდან. წათემ ანიშნა და სწრაფად მიიყუნჭნენ ღობისკენ. ისევ მონღოლი მოდიოდა, შუბიანი. ზუჩის აქეთ-იქით მელიის კუდებივით დაჰკანკურებდა ბეწვები. ისიც რაღაცას მოღურღურებდა თავისთვის. ჩასცდა ბიჭებს, ჩაიდაბლა და... უცებ სეზარი ადგილს მოსწყდა, ჩადაბლებულ ცხენს ფოცხვერივით შეახტა, მონღოლმა ერთი ამოიყმუყუნა და სეზარმაც და მონღოლმაც ხრიალი მორთეს ქვებზე, ცხენი ქვევით გავარდა, წათე და ბექა თავზე წაადგნენ მიწაზე დაცემულთ. წათეს დაღერებული ეჭირა ჯოხი. სეზარი – გავიქცეთო! – გაიქცა, მაგრამ წათემ დაიჭირა...

რევაზ ინანიშვილი, „დავითის ხმალი“

დავალება 3:

იპოვეთ შეცდომა სახელთა ბრუნებისას, გაასწორეთ და ისე გადაწერეთ რვეულში:

1. დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში... 2. ეს ამბავი ღირსშესანიშნავ ამბავად უნდა ჩაითვალოს სემინარიის ცხოვრებაში. 3. ზოგან კი მცირე დოზით ყველანაირი ალკოჰოლის მიღება, განსაკუთრებით ღვინოსი, საერთოდ აკრძალულია. 4. რაღაც ბევრი წერს ჩვენზე და ჩვენთვის, რაღაც ბევრი წუხს ჩვენი ამბავით. 5. ისღა დაგვრჩენია, წარსულის აჩრდილებს ველაციცოთ და ძველი დროთი ვიამაყოთ. 6. სადაც ცოცხალი არსება იღებს ძალას ღმერთისგან და ცხადად აჩვენებს სხვადასხვა სასწაულებს. 7. ის სადგური პატარა მაყვლითა და ატამით და ტყეებით ბებერით... ღმერთო, კიდევ მაჩვენე, ღმერთო კიდევ მამგზავრე ძველი მატარებელით. 8. საერთაშორისო

ასტრონომიულმა კავშირმა მთვარის მეორე მხარის ზედაპირული დეტალების სახელები ოფიციალურად დაამტკიცა. 9. ხმელის წიფლის ახლო რამდენიმე ჟოლის ფეხია მოსული, შველისა და ირმის ნაკვნეტის ფოთლებით. 10. კაფე დაგხვდებათ კედლებზე დახატული ირმებით და დიდი სარკეთი. 11. მოამზადეს ხახვის ფურცელის ნაყენი და კვერცხები ჩააწყვეს შიგ. 12. მეზობელმა მოაკითხა, ხელში კომბოსტოს ორი ფოთლით, ჯამებივით. ერთი პამიდორით იყო სავსე, მეორე ვენახის ატმით. 13. გამოჩნდება საცა არის ხიდი ალუბალისა, ახლო არის რეკვა ზარის, ვით ჩქრიალი წყალისა. 14. წელს კიდევ ვიზეიმებთ ამ უდიდეს დღესასწაულს ჩემს საოჯახო მარანში დაყენებულ ღვინოთი. 15. მთელი ზამთარით დაავიწყდება ეს პაწაწინა სოფელი თბილისს. 16. ჩვენში ვინ უნდა მივიჩნიოთ ამ საძირკველის დამდებად? 17. და დაღალულან დედოფალის თეთრი ხელები, დედოფლის სახე ფერმკრთალია, ვით ნისლში გედი. 18. საშინელი ქარიშხალის დროს განდეგილს ესმის ადამიანის ხმა. 19. მას ახლავს ს. ქობულაძის ნახატი რუსთველის პორტრეტი და ანოტაცია „ამბავიდან ამბავამდე“. 20. ჩვენ იმიტომ გვწამს ღმერთის, რომ ვართ ადამიანები და იმიტომ ვართ ადამიანები, რომ გვწამს ღმერთის. 21. ვენერა არის მეორე პლანეტა მზედან, რომელიც დედამიწის ყველაზე ახლოს მოძრაობს. 22. პროექტი ნათლად წარმოაჩენს იმ უწყვეტ შემოქმედებით ხაზს, რომელიც ჭაბუკიანის მიერ ჩაყრილი საფუძველიდან იწყება. 23. მთავარია, როგორ გაანაწილებთ რაციონს საუზმედან ვახშამამდე.

7. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ: რას ნიშნავს ბრუნვის ნიშანთა გ ა ვ რ ც ო ბ ა?**
- **გავარკვევთ: რა არის ს ა ვ რ ც ო ბ ი? რომელი ბრუნვის ნიშანი დაირთავს მას და რა შემთხვევაში?**
- **შევადგენთ ბრუნვის ნიშნების გავრცობის შემთხვევათა ამსახველ თვალსაჩინო სქემას.**



დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

„კურდღელს ეშინია **ადამიანის**, **ნადირისა** და **ფრინველის**“.
„ხეხილი დახუნძლული იყო **ვაშლითა** და **მსხლით**“.

- ✓ რომელ ბრუნვაში დგას პირველ წინადადებაში ხაზგასმული (გამუქებული) ფორმები? რით განსხვავდება ერთ-ერთი მათგანი დანარჩენი ორისაგან?
- ✓ რომელ ბრუნვაში დგას მეორე წინადადების გამუქებული ფორმები? რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?

ახლა თუ ჩვენთვის ნაცნობ რომელიმე სახელს ხელახლა ვაბრუნებთ, ოთხ ბრუნვის ნიშანს ფრჩხილებში „ა“ ხმოვანი უნდა მივუწეროთ:

სახ.	სახლ-**ი**	კედელ-**ი**
მოთ.	სახლ-**მა**	კედელ-**მა**
მიც.	სახლ-**ს(ა)**	კედელ-**ს(ა)**
ნათ.	სახლ-**ის(ა)**	კედ#ლ-**ის(ა)**
მოქ.	სახლ-**ით(ა)**	კედ#ლ-**ით(ა)**
ვით.	სახლ-**ად(ა)**	კედ#ლ-**ად(ა)**
წოდ.	სახლ-**ო**	კედელ-**ო**

ამჯერად **ა** ხმოვანზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ის ბრუნვის ნიშნის დამატებითი ელემენტია. ფრჩხილებში მისი ჩასმა კი იმას ნიშნავს, რომ ბრუნვის ნიშანს ხმოვანი **ა** შეიძლება ახლდეს და შეიძლება – არა.

-ა სუფიქსის ამგვარ დართვას ბრუნვის ნიშნის გ ა ვ რ ც ო ბ ა ჰქვია, ხოლო თვით ხმოვანს – ს ა ვ რ ც ო ბ ი.

სავრცობი გამოვლინდება **მიცემითში**, **ნათესაობითში**, **მოქმედებითსა** და **ვითარებითში** (უფრო იშვიათად), ანუ – თანხმოვნით დამთავრებულ ბრუნვის ნიშნებთან:



მიც. დათვ-**სა**
ნათ. დათვ-**ისა**
მოქ. დათვ-**ითა**
ვით. დათვ-**ადა**

რა განაპირობებს ბრუნვის ნიშნის გავრცობას?

მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამას განაპირობებს ბრუნვის ნიშნის ადგილი წინადადებაში.

ბრუნვის ნიშანთა გავრცობა ხდება მაშინ:

ა) როდესაც მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს:

სახლი ძმ-**ისა** (შეადარეთ: ძმ-**ის** სახლი).

ბ) წინადადების ერთვაროვანი წევრებიდან გავრცობილია „**და**“, „**თუ**“ კავშირების წინამავალი წევრი:

ცასა და მიწას; **დისა** და ძმის; **დედითა** თუ მამით...


გ) ბრუნვის ფორმებზე თანდებულების დართვისას ბრუნვის ნიშნის გავრცობა ზოგჯერ აუცილებელია; მაგ.: ძმა-**სა**-ვით, შენ-**სა**-ვით...

ზოგჯერ კი გავრცობილიც გვხვდება და გაუვრცობელიც:

სახლ-**ისაკენ**//სახლ-**ისკენ**, სკოლ-**ისათვის**//სკოლ-**ისთვის**, დედ-**ისაგან**//დედ-**ისგან**

სავრცობის როლში აგრეთვე გვხვდება **ი** ხმოვანი და ეს ხდება უკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში; შდრ.: **წყარო-ს** წყალი, მაგრამ: წყალი **წყარო-სი**.

ვცადოთ სქემის სახით დავიმახსოვროთ ის, რაც უკვე ვთქვით:



დავალება 1:

აბრუნეთ და გამოიყენეთ შესაფერის წინადადებებში შემდეგი არსებითი სახელების გაუვრცობელი და გავრცობილი ფორმები: სახრე, სეტყვა, ღრიჭო, კუ, ბურთი, კუთხე.

დავალება 2:

ამოიწერეთ რვეულში მოცემული ტექსტიდან გაუვრცობელი და გავრცობილი ბრუნვის ფორმები და დაალაგეთ ცალ-ცალკე (თითოეულს მიუთითეთ, რომელი ბრუნვის ფორმაა):

მეტად ამაყია ჩვენი მამალი: ეზოში მედიდურად დადის, დროგამოშვებით შედგება და დაიყივლებს; ჯიჯგლიბო გვერდზე გადაუგდია, როგორც თავმომწონე ბიჭი გადიგდებს ხოლმე ქუდსა. საყივრები ხმლებივით ბოლოდამ უკანა აქვს გადაშვებული, თითქმის მიწაზე მიათრევს. მტრის მოსაგერი დეზები შემოკაუჭებული აქვს; ეს დეზები შუბი და ლახვარია, მტრის გასაგმირად დამზადებული. ვაი იმ უცხო, მეზობლის მამალს, რომელიც ჩვენს ეზოში შემოსვლას გაჰბედავს: ჩვენი მამალი დაუხვდება წინ და შეუტევს, როგორც ლომი, აუტეხს შემოსულს მტერს მედგარს ომს. სასიკვდილედ შეებრძოლება ჩვენი მამალი მტერსა. გაიმართება მამლებ შორის ფარ-ხმლის ტრიალი: ქვეყანა შეიძვრის იმათ ბრძოლისაგან, მზე დაბნელდება მამლების ფეხთა ანადენის მტვრისაგან. ერთად შეგროვილი დედლები ანწლებში, ღოლოებში ან ჭინჭრებში გულისფანცქალით თვალს ადევნებენ ამ ორის გმირის ბრძოლას... როგორ ამაყად, მეფურად გაივლ-გამოივლის, ეზოში იქნება, თუ კალოში, გაიბღინძება, მკერდს წინ გადმოიშვერს, საყივრებს დასწევს, ყელს მოიღერებს და, რაც ძალი და ღონე აქვს, დაი-



ყივლებს... – შენს ჯიჯლიბოს, ნისკარტს და დეზებს ვენაცვალე! – ეუბნება ერთი, წვრილი თვალებით მოკირწყლული თალხს კაბაზე, ღაბუა ნაცარა ვარიკა, რომელიც ყველაზე მეტად ეწონება და ეფერება მამალს. დედლები იგონებენ მამლის მაშინდელს სიმამაცეს, როდესაც ქათმებს ქორმა დაუტია. სწორედ გარიჟრაჟზე ჩამოფრინდა მამალი ქანდარიდამ, თან მოჰყვნენ დედლები და უცდიდენ პატრონს, რომ საკენკი დაეყარა ქათმებისათვის; დასეირნობდენ ეზოში, ფრთებს ისწორებდენ... სწორედ ამ დროს დაუტია ქორმა, დაეხურა ერთს მსუქანს დედალს, უნდოდა წაეღო. გადახტა მამალი, შეუტია ქორს და გაჰკრა დეზები. მამალი გულადად იყო, მაგრამ ქორმა დასძლია, რამდენსამე ადგილას დაგვიჭრა, – ეს წყლულები დღესაც ეტყობა ჩვენს მამალს: ერთი იარა კიდეც მოურჩა ნისკარტის ძირზე; მეორე ჯიჯლიბოზე ეტყობა, ცალი კბილი ჯიჯლიბოსი მოგლეჯილი აქვს; მესამე ჭრილობა ბიბილოზეა, რომელიც შუაზე აქვს გახეთქილი...

ვაჟა-ფშაველა, „ჩვენი მამალი“

დავალება 3:

იპოვეთ, წესის გათვალისწინებით, უმართებულოდ გამოყენებული გავრცობილი თუ გაუვრცობელი ფორმები, გაასწორეთ და წინადადებები ისე გადაწერეთ რვეულში:

1. დედას მოჰყვნენ თან შვილები, ჯოხებით და კეტებით შეიარაღებულნი. 2. სპილომ ყური არ ათხოვა ჭიანჭველების ვედრებასა. 3. როცა გული მოიჯერა ბობოქრობით და ორომტრიალით, დათვმა მიიხედ-მოიხედა. 4. გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. 5. წინ მიუძღოდა სახელოვანი ფიცხელა, განთქმული სიმარდით, გულადობით და

გამბედაობით. 6. სტუმრებმა... აუტეხეს ფეხებს ბრახაბრუხი: იყრეინებდნენ ფეხსაცმელებიდან თოვლს და ტალახს. 7. სტუმრები ჰკვირობდნენ თაგვების ამგვარ ერთმანეთისადმი შებრალებას და თანაგრძნობას. 8. ორი ბედაური ცხენი ნიავსავით მიაქროლებდა ეტლსა. 9. იღუპებოდა გმირი, დიდის ოჯახის და ცოლ-შვილის პატრონი ვაჟკაცი. 10. რომელი წყალი უნდა დავლიოთ: ონკანის, ბოთლის, წყაროს, ჭის თუ გაფილტრული? 11. ორივე მშობელს - დედას თუ მამას - თავიდანვე უნდა ეფიქრა შვილებზე! 12. ქარი ძლიერდებოდა, უკვე აღარ მოჩანდა ნაპირი ზღვის. 13. ამ მთისა ფერდზე თოვლის ზვავები და ცვენა ქვების არავის უკვირდა. 14. დაჩვეულსა ნუ დააკლებ, დაუჩვეველს ნუ დააჩვევ. 15. ყვავსა შევარდნადა ზრდიდნენ, ის ისევ „ყვას“ იძახოდაო. 16. შეგახსენებთ, რომ ეს არის ერთი მონაკვეთი თბილისის შემოვლითი გზის. 17. საქართველოს მთათაშორისი ბარი მდებარეობს კავკასიონს და მცირე კავკასიონს შორის. 18. გაეცანი საქართველოს ყველა კუთხეს, მთას და ბარს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს. 19. ეს ყოფილა საკვები ძაღლის, საქონლის და ბატკნის ხორცით. 20. გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. 21. მართვე არის ბარტყი მტაცებელი ფრინველის - არწივის. 22. ორბები ვერ ეგუებიან ერთი ადგილის ტკეპნას და სიზარმაცეს. 23. ბრძენი დედა მამის მიმართ შვილსა მტრულად არ გაზრდისო. 24. პენსიაზე გასვლის შემდეგ მხოლოდ მეზობლის და ახლობლის ბავშვს თუღა ამეცადინებდა. 25. ნუ იტყვი, რომ შეუძლებელია ყველაფრის სიკეთით და სიმდაბლით კეთება!

8. საკუთარ სახელთა ბრუნება

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიხსენოთ: რა თავისებურებას გვიჩვენებენ ბრუნების დროს **ს ა კ უ თ ა რ ი** სახელები;
- შევამოწმოთ: სწორად მივმართავთ თუ არა ერთმანეთს;
- შევადგინოთ და გამოვიყენოთ საკუთარ სახელთა **მ ა რ თ ლ წ ე რ ი ს** სამახსოვრო სქემები.

გავიხსენოთ:

- ✓ **გრიგოლი, მხატვარი, თბილისი, ეკატერინე, კავკასიონი, მთაგრეხილი** – ამ არსებითი სახელებიდან რომელია საკუთარი და რომელი – საზოგადო?
- ✓ ვთქვათ, გყავთ მეგობრები: **გურამი, თამარი, თამაზი, ვახტანგი, ნესტანი**. როგორ მიმართავდით მათ: **გურამი** თუ **გურამ**? **თამარი** თუ **თამარ**? **თამაზი** თუ **თამაზ**? **ნესტანი** თუ **ნესტან**?
- ✓ როგორ იტყოდით: **ალექსიმ** თუ **ალექსმა**? **გოდერძიმ** თუ **გოდერძმა**? **მერაბიმ** თუ **მერაბმა**?..

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:



ახლა დავაკვირდეთ საზოგადო და საკუთარი სახელების პარალელურ ბრუნებას და გამოვკვეთოთ მსგავსება-განსხვავება მათ შორის:

ბრუნვა	ფუძე	ბრუნ. ნიშანი	ფუძე	ბრუნ. ნიშანი	ფუძე	ბრუნ. ნიშანი	ფუძე	ბრუნ. ნიშანი
სახ.	საცერ	**-ი**	ეთერ	**-ი**	კალთა		მართა	
მოთ.	საცერ	**-მა**	ეთერ	**-მა**	კალთა	-მ	მართა	**-მ**
მიც.	საცერ	**-ს**	ეთერ	**-ს**	კალთა	-ს	მართა	**-ს**
ნათ.	საც#რ	**-ის**	ეთერ	**-ის**	კალთ#	-ის	მართა	**-ს(ი)**
მოქ.	საც#რ	**-ით**	ეთერ	**-ით**	კალთ#	-ით	მართა	**-თი**
ვით.	საც#რ	**-ად**	ეთერ	**-ად**	კალთა	-დ	მართა	**-დ**
წოდ.	საცერ	**-ო**	ეთერ		კალთა	-ვ	მართა	

როგორც ხედავთ, წარმოდგენილია განსხვავებულფუძიანი ორი საზოგადო სახელისა (**საცერ-ი, კალთა**) და ორი საკუთარი სახელის (**ეთერ-ი, მართა**) ბრუნების ნიმუშები; დავსვათ შესაბამისი კითხვები:

- ✓ რა მსგავსება-განსხვავებას გვიჩვენებენ ისინი სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში?

- ✓ დააკვირდით ოთხივე სახელის ფუძეს (მიცემით ბრუნვაში). რომელი სახელების ფუძე იცვლება და რომელი – არა?.
- ✓ რა ვითარებაა ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში – რომელი სახელი იკუმშება და რომელი – არა? რომელი იკვეცება და რომელი – არა?
- ✓ რით განსხვავდება ამ სახელების წოდებითი ბრუნვის ფორმები?



დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

დამატებით შევადაროთ ორი საკუთარი სახელის ბრუნება:

ბრუნვა	ფუძე	ბრუნ. ნიშანი	ფუძე	ბრუნ. ნიშანი
სახ.	გრიგოლ	**-ი**	გიორგი	
მოთ.	გრიგოლ	**-მა**	გიორგი	**-მ**
მიც.	გრიგოლ	**-ს**	გიორგი	**-ს**
ნათ.	გრიგოლ	**-ის**	გიორგი	**-ს(ი)**
მოქ.	გრიგოლ	**-ით**	გიორგი	**-თი**
ვით.	გრიგოლ	**-ად**	გიორგი	**-დ**
წოდ.	გრიგოლ		გიორგი	

- ✓ რით იქცევს ამ შემთხვევაში ყურადღებას სახელობითი ბრუნვა? რომელ სახელში არ არის გამოყოფილი სახელობითი ბრუნვის ნიშანი? (როგორ ფიქრობთ, რატომ?)
- ✓ რა განსხვავებას გვიჩვენებენ ეს სახელები მოთხრობით ბრუნვაში?
- ✓ რა ვითარებაა ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში, რა სახით ჩანს ამ ბრუნვათა ნიშნები „გიორგი“ სახელის ბრუნებისას?



შევაჯამოთ ზემოთ თქმული:

ამგვარად, საკუთარი სახელები ბრუნების იმავე წესს მისდევენ, რასაც საზოგადო სახელები. მაგრამ, ამავე დროს, რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება იჩენს თავს:

1. ადამიანის (პ ი რ თ ა) ს ა ხ ე ლ ე ბ ი, როგორც ვხედავთ, არც იკუმშება და არც იკვეცება. ამათგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ გვარები და გეოგრაფიული სახელები (რასაც ქვემოთ ვნახავთ).
2. საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით, ადამიანთა საკუთარ სახელებში გვხვდება **ი**-ფუძეხმოვნიანი, ანუ ისეთი სახელები, რომელთა ბოლოკიდურა **ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანი კი არ არის, არამედ ფუძის განუყოფელი ნაწილია (შდრ.: გრი-

გოლ-**ი** – გრიგოლ-მა, მაგრამ: გიორგ**ი** – გიორგ**ი**-მ...). ასეთი სახელებია: **აკაკი**, **ალექსი**, **გოდერძი**, **რატი**, **დაჩი**, **ლალი**, **მეგი**...

მათ რიგებს მიეკუთვნება **ი** ხმოვანზე დაბოლოებული უცხოური გვარებიც: **ბოტიჩელი** (ბოტიჩელი-მ), **გარიბალდი** (გარიბალდი-მ), **ტოლსტოი** (ტოლსტოი-მ)...



ეს გასათვალისწინებელია:

ი-ფუძეხმოვნიან სახელებში ზოგჯერ ურევენ ისეთ საკუთარ სახელებს, რომელთა ბოლოკიდური **ი** ხმოვანი ნამდვილად ბრუნვის ნიშანია: **ანზორ**-ი, **ნოდარ**-ი, **გურამ**-ი, **თამაზ**-ი, **მერაბ**-ი...

როგორ შევამოწმოთ დამოუკიდებლად, ბრუნვის ნიშანია თუ ფუძის ხმოვანი ბოლოკიდური **ი** რომელიმე კონკრეტულ პირის სახელში?

ამისათვის უნდა შევადაროთ ერთმანეთს ამ სახელის ფუძის ვარიანტები **ი** ხმოვნით და მის გარეშე. თუკი ხმოვანჩამოცილებული ფუძე ბუნებრივად ჟღერს (**მერაბ**-, **ანზორ**-...), მაშინ **-ი** ბრუნვის ნიშანი ყოფილა, ხოლო თუ უხმოვნოდ არაბუნებრივია (**აკაკ**-, **დაჩ**-...), ეს სახელი **ი**-ფუძეხმოვნიანი იქნება.


3. კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით გვარებსა და გეოგრაფიულ სახელებში არაერთგვაროვანი ვითარებაა:

ა) იკვეცება **-ძე**-ზე დაბოლოებული გვარები (მაგ.: აბაშიძ**ე**, აბაშიძ**#**-ის); თუმცა არ იკვეცება **ა**-ხმოვნიანი გვარები (პერტაი**ა**-სი, რიგვავ**ა**-სი...).

ბ) იკუმშება **ე** ხმოვნის შემცველი ზოგი გვარი: წერეთ**ე**-ლ-ი, წერეთ**#**-ლ-ის, მაჩაბ**ე**ლ-ი, მაჩაბ**#**-ლ-ის...

გ) გეოგრაფიული სახელების ფუძეები თითქმის ისევე იკუმშება და იკვეცება, როგორც საზოგადო სახელები; მაგ.: ახმეტ**ა** – ახმეტ**#**-ის, ვარციხ**ე** – ვარციხ**#**-ის... ალაზ**ან**-ი – ალაზ**#**ნ-ის, დიღ**ო**მ-ი – დიღ**#**მ-ის...

საერთო სქემის სახით:




დავალება:

სქემაზე ასახული ინფორმაციის გათვალისწინებით აბრუნეთ შემდეგი სახელები:
მანანა, ოჩიგავა, დგებუაძე, უფლისციხე, წინანდალი.

4. საკუთარ სახელთა წ ო დ ე ბ ი თ ი ბრუნვა ასევე ურთიერთგანსხვავებულ სურათს გვიჩვენებს:

- პირთა სახელები წოდებითში უნიშნოდ, ფუძის სახით გვაქვს: **ზურაბ! ანა! რატი!**
- გვარებში წოდებითის ნიშანი ფუძეთანხმოვნიანებს დაერთვის (**გვრიტიშვილ-ო! დადიან-ო! ჟღენტ-ო!**), ფუძეხმოვნიანებს – არა (**ტაბიძე! გაგუა!..**).
- გეოგრაფიული სახელები ყველა შემთხვევაში დაირთავენ წოდებითის ნიშანს: **თბილის-ო! მეტეხ-ო! მთაწმინდა-ვ!..**

სქემის სახით:



ეს გასათვალისწინებელია:

ადამიანის სახელისა და გვარის ერთად გამოყენებისას პირის სახელი:

ა) ფუძის სახით, უცვლელად არის წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში, თუ ის წინ უძღვის გვარს (**გრიგოლ ორბელიანმა**, **პაატა ხერხეულიძემ**...);

ბ) თუ სახელი მოსდევს გვარს, მაშინ მასთან ერთად იბრუნება, გარდა სახელობითი და წოდებითი ბრუნვებისა. სახელობითში საკუთარი სახელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს წინადადებაში გამოყენების დროს („ორბელიანი **გრიგოლი** რომანტიკოსი პოეტია“), მაგრამ დასახელების (სიის ამოკითხვის) დროს – ფუძის სახით გამოიყენება: **ორბელიანი გრიგოლ**.

შევადაროთ:

გრიგოლ ორბელიან-ი	ორბელიან-ი გრიგოლ[ი]
გრიგოლ ორბელიან-მა	ორბელიან-მა გრიგოლ-მა
გრიგოლ ორბელიან-ს	ორბელიან-ს გრიგოლ-ს
.....	.....
გრიგოლ ორბელიან-ო	ორბელიანო გრიგოლ

დავალება 1:

დააწყვილეთ (ნებისმიერად) შემოთავაზებული პირთა სახელები და გვარები და ისე შეადგინეთ გვარ-სახელთა სია ანბანთრიგზე (გვარების მიხედვით), ასევე შებრუნებული წყობით (სახელი და გვარი):

ცოტნე, ტერენტი, ჯიმშერი, ქართლოსი, უშანგი, ტიტე, ეთერი, სოფრომი, ყარამანი, დაჩი, ლალი, ნოდარი, მაქსიმე, ნუგზარი, პაპუნა, მალხაზი, გრიგოლი, გივი, ბეჟანი, ნესტანი.

აბაშიძე, ერისთავი, წერეთელი, ჩიქოვანი, ღურწკაია, პაატაშვილი, მანწკავა, ღოლოძე, თევდორაშვილი, ლოლუა, ბარათელი, ტუღუში, ქურხული, ჩოხელი, გავაშელიშვილი, თორთლაძე, კაციტაძე, ბართაია, პატაშური, ძიმისტარაშვილი.

დავალება 2:

გადაწერეთ მოცემული წინადადებები და ფრჩხილებში მითითებული საკუთარი სახელები ჩასვით საჭირო ფორმით:

1. ..... განცხადებით, ობიექტი ისტორიული მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია (კაკუშაძე). 2. ჯუანშერის ცნობით, ... დაასრულა ვახტანგ ..... დროს დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა (დაჩი, გორგასალი). 3. ....., თორმეტი წლის ბიჭმა, კარგად იცოდა, რომ წინ ძნელი გზა ედო (ნუგზარი). 4. ივანე ..... დაიბადა გაღარიბებული მემამულის, გიორგი ..... ოჯახში (მაჩაბელი). 5). კახეთში ქვემო ..... სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს (ალაზანი). 6. თბილისის არქიტექტორულ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „საჩინოს“ - ..... სასახლის ერთ შემორჩენილ ნაწილს (დარეჯანი). 7. თეო ....., შენ მოიტანე სამასწავლებლოდან საკლასო ჟურნალი! (გეგუჩაძე). 8. ბატონო ....., მოდი, გადავხედოთ თქვენი ცხოვრების განვლილ გზას და მოვუთხროთ მკითხველს! (პაატა). 9. რატომ არ გასცემთ პასუხს, ..., ქვენთვის წამოყენებულ ბრალდებებს? (გვარამაძე). 10. ახალო ...., შენს შეუწყვეტელს ამღელვარებას ჟღერს ჩემი ქნარი (მცხეთა).

დავალება 3:

იპოვეთ საკუთარ სახელთა უმართებულო ფორმები, გაასწორეთ და წინადადებები ისე გადაწერეთ რვეულში:

1. ღრმად პატივცემულო მეგობარო და ძალიან ნიჭიერო არტისტო, ვასო აბაშიძევ! 2. ოთარიმ თოხი აიღო, ხალისით მიდის ყანაში. 3. ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!

4. გზად იშლებიან თმანი ქარისა, მიდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა. 5. რა განკარგულებას ჰმორჩილებს რაზმი, გოდერძო? 6. ტყუილად სცდები, ალუდავ, ტყუილად იცვეთ პირსაო! 7. 1906 წელს აკაკი წერეთელისა და ილია ჭავჭავაძის დახმარებით თბილისში ლიმონათის ქარხანა და მაღაზია გახსნა. 8. მინდა ლექსით მოვირთველო... ვაჟავ, სიტყვა შენ მიკურთხე! – 9. რა ჩემი დახმარება გინდა? – უგულოდ მიუგო ეთერიმ და კვლავ მის მიერ ამოჩემებულ პორტრეტს მიაპყრო თვალები. 10. აუყვავებენ სუფრასა, – ზურაბ, შეექეც ხილსაო. გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო. 11. – კაკალაშვილი! გამოდი და ჩამაბარე ლექსი! 12. – მაგრე, გენაცვალე, თევდორევ, მაგრე! – გადმოსძახა ტიმოთემ. 13. ხმა დაირხა, მიხეილს ბიჭები დაუყენებია და ბაღს ძირფესვიანად ათხრევინებსო. გადაცვივდა სოფელი, ეხვეწებიან: „ნუ სჩადი, მიხეილო!“ 14. ყველაზე მეტად იმათ ჯიბრზე უნდა მოიგოს მერაბიმ, ვინც ნურმაგომედოვს გულშემატკივრობს. 15. მარეხმა უთხრა: ეთერო, შემოვიარე იმ შენი ციხის არესა. 16. ამხანაგო ტაბიძევ, თქვენ აქ დაბრძანდით და საუბარში არ ჩაერიოთ! 17. ქირავდება დიღომის უბანში სოფელ ნატახტარის გადასახვევამდე სასტუმროს ტიპის აგარაკი. 18. უმთავრესი მოსაზრება საბჭოს წევრის უზნაძესი ის იყო, რომ თუ ამოვშალეთ ეს მუხლი, მის ადგილას ხომ უნდა იყოს შეტანილი სხვა საგანი. 19. ჩემი გვარის მომდევნოდ საკლასო ჟურნალში ეწერა გუბაზი ქარუმიძე. 20. თარს ამოჰქონდა გულის ბალღამი მტკვარის მარცხენა სანაპიროდან. 21. დიდხანს და ჯანმრთელი უნდა გვყავდე, ჩვენო წინამძღოლო დიდო მაქსიმევ! 22. ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორის ივანე მაჩაბელის გასამართლება. 23. მდინარე ალაზანიდან მაგისტრალურ არხში წყლის გადმოგდება ხდება სათავე ნაგებობის ჩამკეტით. 24. მისი ხასიათის ეს ნიშნები განსაკუთრებით თავს იყრიდა თამაზისთან საუბარში.

9. არსებითი სახელის რიცხვის წარმოება

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიხსენებთ: როგორ იწარმოება არსებითი სახელის მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რიცხვი და რამდენგვარ მრავლობითს ვიყენებთ ქართულში;
- დავაკვირდებით: რა მიმართებაა მრავლობითის წარმოებასა და სახელის ბრუნებას შორის;
- დავადგენთ: რა როლს ასრულებს თანამედროვე ქართულში ნართანიანი მრავლობითი და როგორ უნდა ამოვიცნოთ მასში შესაბამისი ბრუნვის შინაარსი?

დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

- ✓ რას გამოხატავს **-ებ** სუფიქსი არსებით სახელებში: ბიჭ-**ებ**-ი, მგლ-**ებ**-ი, ძმ-**ებ**-ი?
- ✓ სხვაგვარად როგორ შეიძლება გამოვხატოთ ამ სახელების მრავლობითი რიცხვი?
- ✓ შეიძლება თუ არა თავისუფლად შევუნაცვლოთ მრავლობითის სხვადასხვა ფორმა ერთმანეთს, თუ მათი დანიშნულება განსხვავებულია?

დავაკვირდეთ მრავლობით რიცხვში მდგომი სახელების ბრუნების მაგალითებს:

სახ.	ბიჭ-**ებ**-ი	მგ#ლ-**ებ**-ი	ძმ#-**ებ**-ი
მოთ.	ბიჭ-**ებ**-მა	მგ#ლ-**ებ**-მა	ძმ#-**ებ**-მა
მიც.	ბიჭ-**ებ**-ს	მგ#ლ-**ებ**-ს	ძმ#-**ებ**-ს
ნათ.	ბიჭ-**ებ**-ის	მგ#ლ-**ებ**-ის	ძმ#-**ებ**-ის
მოქ.	ბიჭ-**ებ**-ით	მგ#ლ-**ებ**-ით	ძმ#-**ებ**-ით
ვით.	ბიჭ-**ებ**-ად	მგ#ლ-**ებ**-ად	ძმ#-**ებ**-ად
წოდ.	ბიჭ-**ებ**-ო	მგ#ლ-**ებ**-ო	ძმ#-**ებ**-ო





დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

- ✓ გვაქვს თუ არა მრავლობითის წარმოების დროს სახელის ფუძის კუმშვისა და კვეცის შემთხვევები? (პასუხი დაასაბუთეთ).
- ✓ რით განსხვავდება კუმშვა და კვეცა მრავლობითი რიცხვის წარმოების დროს იმისაგან, რასაც ჩვენ გავეცანით მხოლობით რიცხვში ბრუნების დროს? (დააკვირდით, რამდენ ბრუნვაში ხდება კუმშვა და კვეცა მხოლობითი რიცხვის ფორმებში და რამდენში – მრავლობითში).

დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნები ჩამოაყალიბეთ წესის სახით.

ახლა დავაკვირდეთ მეორეგვარი, ე.წ. ნართანიანი მრავლობითის ბრუნების მაგალითს, რომლის დროსაც სახელობითსა და წოდებითში სახელს დაერთვის **-ნ** სუფიქსი, ხოლო დანარჩენ ბრუნვებს შეესაბამება **-თ(ა)** სუფიქსი:

სახ.	ძმა-**ნ**-ი	ირემ-**ნ**-ი
მოთ.	ძმა-**თ**(ა)	ირემ-**თ**(ა)
მიც.	ძმა-**თ**(ა)	ირემ-**თ**(ა)
ნათ.	ძმა-**თ**(ა)	ირემ-**თ**(ა)
მოქ.	---------	----------
ვით.	----------	----------
წოდ.	ძმა-**ნ**-ო	ირემ-**ნ**-ო



დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

- ✓ რომელი ბრუნვის ფორმები არ გააჩნია ნართანიან მრავლობითს?
- ✓ რომელი ბრუნვის ფორმებია ერთნაირი?
- ✓ გარდა ნიშნების სხვადასხვაობისა, კიდევ რა განსხვავებას ხედავთ სახელობითისა და მოთხრობითის მრავლობითის გამოხატვაში?
- ✓ ხდება თუ არა ნართანიან მრავლობითში ფუძის კუმშვა და კვეცა?

როგორ უნდა ამოვიცნოთ, **-თ(ა)** დაბოლოებიანი ფორმა (მაგ. **ძმა-თა**) მოთხრობითია, მიცემითი თუ ნათესაობითი?

ამისათვის აუცილებელია ამ ფორმის ადგილას ჩავსვათ შესაბამისი **-ებ** სუფიქსიანი ფორმა; მაგალითად:

ძმა-თა ერთობა (–> **ძმ-ებ-ის** ერთობა).

დაიმახსოვრეთ!

ნართანიანი მრავლობითი არსებით სახელებში ძირითადად გამოიყენება ძველებური, არქაული სტილის შთაბეჭდილების შესაქმნელად.

ამავე დროს, ზოგი ნაცვალსახელის მრავლობითის საწარმოებლად ეს ფორმები ერთადერთია (მაგ. **ისი-ნ-ი**, **მა-თ**...);

ამგვარი მრავლობითი ასევე უცვლელია ტერმინების წარმოებაში: **მოსწავლეთა სასახლე**, **მწერალთა კავშირი**, **დედათა და ბავშვთა ოთახი**...

-ებ-იანი მრავლობითი, როგორც ვნახეთ, იცავს კუმშვა-კვეცის უკვე დადგენილ წესებს. ამავე დროს, ზემოგანხილული ბრუნების ტიპები კიდევ რამდენიმე დაზუსტებას მოითხოვს ფუძეხმოვნიან სახელთა მრავლობითის წარმოებისას:

ა) **ე**-ფუძეხმოვნიანი სახელები, განსხვავებით **ა**-ფუძეხმოვნიანთაგან, უკვეცელია **-ებ**-იან მრავლობითში; შდრ. „**ძმა**“ და „**ხე**“ ფუძეები:

სახ.	ძმ#-ებ-ი	ხე-ებ-ი
მოთ.	ძმ#-ებ-მა	ხე-ებ-მა
მიც.	ძმ#-ებ-ს	ხე-ებ-ს და სხვ.


ბ) ზოგი უკვეცელი ფუძე **-ებ**-იან მრავლობითში იკვეცება; მაგალითად:

მელ**ა** - მელ**ა**-ს(ი), მაგრამ: მელ#-ებ-ი;

გულყვითელ**ა** - გულყვითელ**ა**-ს(ი), მაგრამ: გულყვითელ#-ებ-ი...

გ) თავისებური ფორმაწარმოების სახელებს დაემატება **ხბო**, რადგან ის მრავლობითში ორგვარი ფორმით დასტურდება: **ხბო-ებ**-ი და **ხბორ-ებ**-ი.

სქემის სახით:



დავალება 1:

აწარმოეთ ორივე ტიპის მრავლობითი მოცემული არსებითი სახელებისაგან და პარალელურად აბრუნეთ ისინი:

მეგობარი, ფრინველი, ტოროლა, წინაპარი, მდინარე.

დავალება 2:

მოძებნეთ მოცემულ წინადადებებში მრავლობითი რიცხვის ფორმები და განსაზღვრეთ, რომელია მათგან -ებიანი, რომელი – ნართანიანი და რომელ ბრუნვაში დგას თითოეული მათგანი (ნიმუშის გათვალისწინებით):

ნ ი მ უ შ ი:
გლეხ-ნ-ი – ნართანიანი მრავლობითი; სახელობითი ბრუნვა.
თივ-ებ-ი – ებიანი მრავლობითი; სახელობითი ბრუნვა.

1. ერთობას თხოულობდნენ ყველანი: გლეხნი, აზნაურნი, თავადნი, სამღვდელონი, იმერნი და ამერნი. 2. ოსებს იქ თივები ედგათ... იმ თივებში გამოიძინეს და ის თივები აჭამეს ცხენებსაც. 3. ხის ქვეშ დამიწებულან ლაშქარნი და დროშანი. 4. ხვალ ნახავთ... ნაფუძრებს – თეთრი ძვლით მოთესილს, მეწყერებს, ტრამალებს. 5. დანიშნულს დღესა კათალიკოსი, მღვდელმთავარნი, თავადნი, სარდალნი, სახლთუხუცესნი, მდივანბეგნი ქართლ-კახეთისა შეიკრიბნენ სამეფო პალატაში. 6. მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი. 7. ჩვენს შარაზე მიდი-მოდიან წარსულის აჩრდილები. 8. ჩამოიარეს ძაღლებმაც – მშივრებმა, მუცელგალასტულებმა, გაალმასებულებმა. 9. ჩემთ ძმათ ცხონებამ, გარგებდით, ჩვენთა სალოცავთ წყალობით! 10. „უნამუსოვო!“ – მიძახდენ ტანდაწკეპილნი დეკანი, ბალახნი, ქვანი, ქვიშანი, იმ არემარეს მდებარნი. 11. მთის გვერდებზე ალაგ-ალაგ სჩანს დაჩენილი თოვლები. 12. მეცხოვნეები პირზე ხელს აფარებდნენ ბიჭს. 13. რაკი ლაპარაკი პაპებზე ჩამოვარდა, ერთი პაპის ამბავს გიამბობთ. 14. არწივის ფრთებით დამიბრუნეთ ახალგაზრდობა! 15. კოშკები დღესაც ამშვენებენ ხევსურეთს. 16. ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა, წყალნი – ტყეთ, ტყენი – მდინარეთ, ყვავილნი – მიწას და მიწა – თავის აღზრდილთა მცინარეთ. 17. ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის! 18. ამღერებული სიცოცხლე შენი უხსოვარ დროთა ბინდიდან მოქუხს. 19. მწერების მჟლეტელთ შორის ღამურას უჭირავს ერთი უპირველესი ადგილი. 20. მთათა მოიხადეს გვირგვინნი მეფურნი, თვალთა სხივი მოსწყდა ელვარებისაი. 21. იმათ გვირგვინებს ძველთა რაინდთა შუქი ავლია. 22. კლდეთ ჯურღმულებში ქარების მეტი არავინ მოვა. 23. ქართველ ხელოვანთა კონცერტები დაიკავებს ქალაქის მოედნებს. 24. ხის ქვეშ დამიწებულან ლაშქარნი და დროშანი. 25. მეც მათრთოლებდა წინაპართა ძეგლების სუნთქვა.

დავალება 3:

გადაწერეთ ტექსტი და სცადეთ ჩაანაცვლოთ აქ გამოყენებული მრავლობითის ფორმები საპირისპირო მრავლობითებით; დააკვირდით და იმსჯელეთ, რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება ტექსტის შინაარსსა და სტილზე:

იღებდა ხელში იოსები და მახლობელ ყუთებში, სკივრებსა და ზანდუკებში ალაგებდა: შინდისფერ არშიებით შემკულ, მოოქრულ ფაიფურის ჭურჭლებს. წერწეტ ვერცხლის შანდლებს, ვერცხლისავე ბადიებს, პატიოსანი თვლებით შემკულ ხატებს, ერანული მინანქრით მოჩითულ ლარნაკებს, ოქროს ზარნიშით მოოჭვილ ქამარ-ხანჯლებს, პაწია ყუთებს, მომსხო ბრილიანტების ბეჭდებით, მანიაკებით და ოქროს სამაჯურებით სავსეს. ძვირფას ბეწვეულს, ტანისამოსს, ბუხარის და ირანის კრაველებს, ქართულ თასებს, ვერცხლის თუნგებსა და აზარფეშებს. ოჯახის მამა ლენცოფანაჭამსავით დარბოდა ოთახში, აღებდა კარადებს, მაგიდების უჯრებს... გლეჯდა კედლებიდან უშველებელ თექის ნოხებს და ფარდაგებს. მსახურებს გამოჰქონდათ ოთახებიდან ქვესაგებელი, ჭურჭელი, ხელთუნგები, სპილენძის ტაშტები, ვერცხლის რახტიანი უნაგირები, გოლიათური, ვერცხლით შეზიკული ჯიხვის ყანწები, ვერცხლით მოჭედილი ლეკურები, სატევრები, ხავერდგადაკრული მუთაქები და ურთხმელის ჩრჩოებში ჩასმული სურათები... მეკურტნე გაოცებული შესცქეროდა კაცის სიმაღლე ფოლადის რაინდის მანეკენს. შორიდან მთლად ცოცხალ კაცს ჰგავდა იგი. თავზე უშველებელი ჯაჭვის ჩაბალახი ეხურა. ტანზე ფოლადის კინენი, პოლოტიკნი, საბეჭურნი, სამხრენი, სამაჯურნი, ხელებზე ფოლადის თათმანები, ფეხზე ფოლადისავე საბარკლენი, ფოლადისავე ფეხსამოსელი.

კონსტანტინე გამსახურდია - „დიდი იოსები“

10. თანდებულიანი ბრუნვები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ: რა არის თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი და რას გამოხატავენ (რა ფუნქციას ასრულებენ) ისინი?**
- **დავადგენთ: რომელი თანდებული რომელ ბრუნვის ფორმას დაერთვის და რა ურთიერთგავლენას განიცდიან თანდებულები და ბრუნვის ნიშნები?**
- **ვისწავლით: როგორ უნდა შევადგინოთ და გამოვიყენოთ თანდებულთა მ ა რ თ ლ წ ე რ ი ს თვალსაჩინო სქემები.**



დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

შვილი-**ვით**, ხესა-**ვით**, მზისა-**კენ**, სახურავ-**ზე**, გულის-**თვის**, კაცის-**ებრ**, ჩასვლის-**თანავე**, ძმით-**ურთ**, გზი-**დან**, საზღვრა-**მდე**.

- ✓ რას გამოხატავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სიტყვის ფორმისაგან მუქი შრიფტით გამოყოფილი ბოლოსართი (საგნის ადგილმდებარეობას, მოძრაობის მიმართულებას, მსგავსებას თუ კუთვნილებას)?
- ✓ რომელ ბრუნვაში დგას სიტყვა, რომელსაც თქვენ მიერ შერჩეული ბოლოსართი დაერთვის?
- ✓ სრულად არის თუ არა შენარჩუნებული ბრუნვის ნიშანი კონკრეტული თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ს დართვის შემდეგ?

ახლა წავიკითხოთ განმარტება და შევამოწმოთ ჩვენი პასუხები:

ბრუნვის ფორმებს შესაძლებელია დაერთოს ისეთი ბოლოსართები, რომლებიც ძირითადად გამოხატავენ საგნის ა დ გ ი ლ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა ს ან მოძრაობის მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს; ზოგი ასეთი ბოლოსართი კი მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ს ა და კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა ს გამოხატავს.

ამგვარ ბოლოსართებს თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ეწოდება.

თანდებულები დაერთვის მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებს; ერთადერთი თანდებული დაერთვის სახელობით ბრუნვას. სქემის სახით:


ძირითადი თანდებულები ბრუნვათა მიხედვით	
სახელობითი	**-ვით**
მიცემითი	**-ვით, -თან, -ზე, -ში**
ნათესაობითი	**-გან, -თვის, -კენ, -ებრ, -თანავე**
მოქმედებითი	**-ურთ, -(ი)დან**
ვითარებითი	**-მდე (-მდის)**

ეს თანდებულები ბრუნვის ფორმასთან (ან სახელის ფუძესთან) შ ე რ წ ყ მ უ ლ ა დ იწერება. თანდებულთა დართვა ბრუნვის ნიშნებზე სხვადასხვაგვარ შედეგს იძლევა; ზოგ შემთხვევაში ამას მოსდევს ისეთი ფონეტიკური ცვლილებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მართლწერისათვის.


თანდებულთა განაწილებისა და მართლწერის წესები წარმოვადგინოთ სქემებად:

I







II


მიცემითი ბრუნვა
- ვით
- თან
- ზე,
- ში
ბრუნვის ნიშანი სავრცობით **მზე-სა-ვით ლომ-სა-ვით** (შეცდომაა: ლომ-ისა-ვით)
ბრუნვის ნიშანი იპარგება ფუძეთანხმოვნიან სახელებთან კედელ-თან ნაპირ-თან
ბრუნვის ნიშანი ნარჩუნდება ფუძეხმოვნიან სახელებთან **წყარო-ს-თან კერა-ს-თან**
ბრუნვის ნიშანი იპარგება ყოველგვარ სახელთან **წყარო-ზე ცა-ში ძირ-ში**
ბრუნვის ნიშანი გვაქვს მხოლოდ ნაცვალსახელთან **მა-ს-ზე მას-ს-ში**


III


ნათესაობითი ბრუნვა
- გან, - თვის, - კენ
- ებრ
- თანავე
ბრუნვის ნიშანი გვაქვს როგორც გავრცობილი, ისე გაუვრცობელი სახით **მეზობლი-ისა-გან პურ-ისა-გან მზ-ისა-გან**
დაერთვის მხოლოდ ბრუნვის გაუვრცობელ ფორმას **გმირ-ის-ებრ**
დაერთვის საწყისის ფორმას ბრუნვის ნიშნის გაუვრცობლად **მოსვლ-ის-თანავე გაღვიძებ-ის-თანავე**

IV


მოქმედებითი ბრუნვა
- ურთ
- (ი)დან
დაერთვის გაუვრცობელ ბრუნვის ნიშანს **მეგობრ-ით-ურთ შვილებ-ით-ურთ**
ბრუნვის ნიშანი და თანდებული შერწყმულია **სახლ-იდან წყარო-დან**

V



ამ სქემებზე დაყრდნობით შეგიძლიათ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოთ თანდებულთა მართლწერის წესები თითოეული ბრუნვის (ან – თითოეული თანდებულის) მიხედვით.

ეს გასათვალისწინებელია:

ცალკეულ ბრუნვებს (უმთავრესად – ნათესაობითს) ასევე მოეპოვება ე.წ. ცალკემდგომი თანდებულებიც (**აქეთ**, **ზევით**, **წინ**...). ასეთი სიტყვები ძირითადად ზმნიზედებია მაშინ, როდესაც ზმნას უკავშირდებიან (მაგ., **წინათ** ზმნიზედაა: „ეს ამბავი **წინათ** მოხდა“); მაგრამ როცა სახელს დაერთვიან, თანდებულის ფუნქციას ასრულებენ; მაგ., **წინათ** თანდებულია: „ეს ამბავი ორი კვირის **წინათ** მოხდა“.

ცალკემდგომი თანდებულებია: **მიერ**, **გამო**, **მაგიერ**, **ქვეშ**, **აქეთ**, **იქით**, **ზევით**, **ქვევით**, **ირგვლივ**, **წინ**, **უკან**, **ახლოს**, **მხრივ**, **გარდა**, **შესახებ** და სხვ.

დავალება 1:

გადაიტანეთ რვეულში და დაალაგეთ მოცემული თანდებულიანი ფორმები შესაბამის ბრუნვათა მიხედვით:

ცეცხლივით, ლურსმანზე, პირუტყვსავით, მდინარეში, მაგიდასთან, სკოლისაკენ, ბუხართან, ბუნებისათვის, სამხრეთისაკენ, ბრაზისაგან, ელვისებრ, სნეულებისაგან, თავლიდან, საღამომდე, კედელთან, სახეზე, მისვლისთანავე, ოჯახითურთ, ჩემებრ...

სახელობითი:
მიცემითი:
ნათესაობითი:
მოქმედებითი:
ვითარებითი:

დავალება 2:

გადაწერეთ რვეულში და გაასწორეთ უმართებულოდ გამოყენებული თანდებულები:

1. დათიკო სადღაც წავიდა და საღამომდინ შინ არ შემოუხედნია. 2. იუდა ზოგიერთებისავით სამშობლოს სამსახურს არ გაჰყვა. 3. ერთს ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე, რომ ჩემთვინ ეწყენინებინათ რამე. 4. მთელი სოფლის მცხოვრებნი გლეხები არიან, დიდი ხნიდგან გადმოსახლებულნი ზოგი იმერეთიდგან, ზოგი ქართლიდგან. 5. არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. 6. მოდიოდა ცხენზედ ამაყად ამხედრებული. 7. პატარა ბიჭები თავლის კედელსთან შექუჩებულიყვნენ და თან ცხვირებზედ ხელებს იფარებდნენ. 8. ბაკური აქამდისინ მხოლოდ შიგადაშიგ დახედავდა სამუშაოს. 9. ცხვარი შეგროვდა გზაზედ, იმათ მოაწყდა ზეიდგან და ქვეითგან მომავალი ურმები. 10. მზაღო და ჯავჯალა მათიაზედ და ელგუჯაზედ ლაპარაკობდნენ. 11. დილიდგან დაძინებულს მოხევეს მზის გადახრამდის ისე ეძინა, რომ ერთის გვერდიდგან მეორეზედ არ გადაბრუნებულა.

დავალება 3:

განსაზღვრეთ, მოცემულ წინადადებებში რა შემთხვევაში გვაქვს ცალკემდგომი თანდებული და რა შემთხვევაში – არა (შესაბამისი სიტყვები გაშავებულია). იმსჯელეთ, რატომ ფიქრობთ ასე:

1. ამ დროს ფარდულს **ქვეშ** იდგნენ სოსო და დიმიტრი. 2. პატარა ხანს **უკან** ქოჩორა კრუხს **გარს** ეხვია ოცამდე წიწილა. 3. კედელი გადმოიქცა და საქათმე **ქვეშ** მოიყოლა. 4. დაბნეული სტუმარი **უკან** გაბრუნებას აპირებდა. 5. სველი მეხრე კამეჩებს **შუა** ჩაწვა გასათბობად. 6. ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშქვეშ ამოიდეს... ბუხრის **წინ** მხოლოდ ღნავალა სთვლემდა. 7. მებაღემ ხის **გარშემო** პატარა თხრილი გააკეთა. 8. მენახირე ყვირილით გამოვიდა და შავი მოზვერი **წინ** გაიგდო. 9. გახარებული შვილები დედას **გარშემო** შემოეხვივნენ. 10.ძლიერი ქარის **გამო** სახლის ჭერი მეტად შეინძრა. 11. ისეთი ნისლი იყო, ორი ნაბიჯის **იქით** აღარაფერი ჩანდა. 12. შეშინებული მოაგარაკეები თავიანთი სახლებიდან გამოცვივდნენ და **ქვევით** დაეშვნენ. 13. **ახლოს** მივე, შემომხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა. 14. საიდანაც ხმა მოისმოდა, დიტომაც **იქით** მიაშურა. 15. გაჭირვებულმა მოქალაქეებმა ქალაქის **ახლოს** მიწის ნაკვეთები მოღობეს და მოჩიჩქნეს. 16. იატაკის **ქვევიდან** რაღაც ყრუ გუგუნი მოისმოდა.

დავალება 4:

ამოკრიბეთ რვეულში თანდებულიანი ფორმები, გამოყავით თანდებულები და მიუთითეთ, რომელ ბრუნვის ფორმას ერთვის ისინი:

1. გოგონა გაზაფხულის მზით აციაგებულ ფიჭვნარში სეირნობდა. 2. თუ ნაგუბარში წყალი ჩამდგარა, მე ჩემს მამულში ჩავსადგურდები. 3. ერობაში, ხატობაში, მთაში თუ

ბარში – ყველგან ისმოდა სიმღერა. 4. ყველგან – ყანაში, ზვარში, წისქვილში – ხელი გვეკიდა თოფზე. 5. ამის გამგონი ხანი თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზე. 6. თივას თიბვენ მთიბელები, ცა ლურჯია გუმბათივით. 7. დილას აქეთია, ბიჭი აფთარივით უვლის ციხეს – მეფესთან მიმიშვითო. 8. ეშინოდა კაცს ამ ტყესთან წვიმიანში ჩასვლა. 9. ნაშუადღევისთვისა მზემ ისევ იმძლავრა. 10. თავდადებას მამულისთვის ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ. 11. ერთი ხელადიდან დალეულ წყალს ისინი უაღრესად დაემსგავსებინა ერთმანეთისათვის. 12. მიაქანებდა ბედაური ტკივილისაგან გაოგნებულ მეომარს. 13. ქარებისაგან გაძარცულ და ყინვებისაგან დამზრალ ხეს მაინც გამოჰქონდა ყვავილიცა და ნაყოფიც. 14. შენ იფარავდი და იფარავ კაცს კაცისაგან, კეთილს ბოროტისაგან, ჩაგრულს მჩაგვრელისაგან, ცხვარს მგლისაგან. 15. სადაც ეხლა საქართველოდგან ჩრდილოეთისკენ გზა მიდის, გზა რკალსავით იხრება და სიონის კლდეს სარტყელსავით ერტყმება. 16. გვირაბიდან მდორედ გამოცურებული მატარებელი ღარიბთა გარეუბანში მიგრიალებდა. 17. ელდანაცემმა ზებულონმა ხმალზე გაიკრა ხელი. 18. ბიჭები კაკლის დიდ ხეზე და განზე გაწვდილ ყველაზე ღონიერ ტოტზე საგანგებოდ მოწნულ ორ წნელს შემოახვევენ. 19. იორზე, ვენახში დიდი ჭერამი გვედგა. 20. დარიალიდან გადავარდნილი ხაზარეთისკენ მისცურავს წერო. 21. ორაგულებისათვის სამშობლოსკენ მოგზაურობა ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე ადიდებული მდინარის ჩამოყოლა ზღვამდე. 22. წყაროდან გამოქვაბულამდე თოკს გავჭიმავ. 23. ეს ამბავი სიკვდილამდე ესიზმრებოდა და სიმწრის ოფლში გაღვრილს წამოაგდებდა ხოლმე საწოლიდან. 24. საჯავახოდან ბერძნისწყარომდე და იმას იქით – თითქმის მთელ გზაზე აყვავდა ია და ფურისულა.

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება:

ქართული ენის მცირე გრამატიკული სამახსოვროს შედგენა

დავალების პირობა:

შეადგინე ქართული ენის მცირე გრამატიკული სამახსოვრო კონკრეტული სამიზნე ჯგუფისათვის (მაგ.: **უმცროსკლასელებისთვის, უცხოეთში მცხოვრები თქვენი თანატოლებისათვის** და მისთ.), რომელშიც წარმოდგენილი იქნება არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

ნამუშევარში:

- ✓ წარმოაჩინეთ არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა;
- ✓ კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე გამოიტანეთ სათანადო დასკვნები;
- ✓ დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნები ჩამოაყალიბეთ წესის/დებულების სახით;
- ✓ წერისას დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

XII საუკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში, შოთა რუსთაველმა შექმნა „ვეფხისტყაოსანი“ — ნაწარმოები, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს ქმნილებად იქცა. ეს მხოლოდ სიყვარულისა და მეგობრობის პოემა კი არა, ჰუმანისტური იდეალებით გამორჩეული ტექსტია.

„არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა-მცირობა...“ - რუსთაველის ეს სიტყვები დღესაც გვახსენებს, რომ ქართული ენის დაცვა და განვითარება თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა.

რუსთაველმა ქართულ ენაში ძველი და ახალი ენობრივი ფორმები ოსტატურად გააერთიანა. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებაზე - სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ იოანე ავალიშვილისეული ხელნაწერი, რომელიც მე-16 საუკუნის ბოლოსაა გადაწერილი, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს რუსთაველის შემოქმედების ადგილს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ადასტურებს, რომ ეს ნაწარმოები საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა განსაკუთრებული პატივისცემით.

როდესაც თანამედროვე ქართულ ენას ვსწავლობთ, უნდა გვახსოვდეს შოთა რუსთაველის უდიდესი წვლილი. შენ სწორედ იმ ენაზე ლაპარაკობ, რომელზეც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“ — ნაწარმოები, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობაა.



9 789941 889073

26.03.7.1.1